პროლეტარიანებო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

ГРУЗИНСКАЯ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 103 (18645) ოთხშაბათი, 4 მაისი 1983 წელი ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მოწვეულ იქნეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია 1983 წლის 4 ივნისს ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1983 წლის 3 მაისი.

მელიორაციის ეფექტიანობა

ჩვენს ქვეყანაში მეთერთმეტე ხუთწლედის მეორე წელს სარწყავ და ათვისებულ მიწებზე, რომელსაც მთელი სახნავისა და მრავალწლოვანი ნარგავების ათი პროცენტი უჭირავს, მიიღეს მთელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მესამედი. ეს კი იმაზე მეტყველებს, თუ რა დიდი რეზერვია მელიორირებული მიწები, რომელიც ჩვენმა მშრომელებმა ააღორძინეს თავიანთი გონებითა და დაუცხრომელი შრომით.

რა თქმა უნდა, ეს დიდმნიშვნელოვანი ფაქტი სრულიადაც არ გვაძლევს უფლებას დამშვიდებული ვიყოთ, მით უმეტეს ჩვენს რესპუბლიკაში, სადაც მელიორირებული მიწების ეფექტიანობა საერთო საკავშიროს ვერ უტოლდება. ამ დღეებში სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა ხაზგასმით აღნიშნა: განსაკუთრებული მზრუნველობა უნდა გამოვიჩინოთ მელიორირებული და უწინარეს ყოვლისა სარწყავი მიწების ეფექტიანი გამოყენებისათვის, წყლის რესურსების რაციონალური, მომჭირნე ხარჯვისათვის, რათა უზრუნველვყოთ უხვი მოსავლის მოყვანა. კონტროლი უნდა დავუწესოთ სამუშაოთა მთელ კომპლექსს სარწყავ მინათმოქმედებაში, ოპერატიულად განვახორციელოთ საჭირო ღონისძიებანი.

ეს საპროგრამო მითითებანი მთელი სიგრძე-სიგანით ეხება საქართველოს სოფლის მშრომელებს, განსაკუთრებით კი მელიორატორებს. „კოლხეთმშენის“ 50 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით ტრესტს გადაეცა ხალხთა მეგობრობის ორდენი. ეს დიდი ჯილდო სამართლიანად დაიმსახურა ამ ინტერნაციონალურმა, კოლხეთის გარდამქმნელმა კოლექტივმა. თვალს თუ გადავავლებთ ნახევარსაუკუნოვან ისტორიას, ნათლად დავინახავთ, რომ „კოლხეთმშენმა“ ჭაობს გამოსტაცა და მშრომელთა სამსახურში ჩააყენა 90 ათასამდე ჰექტარი მიწა, რომელთაგან 65 ათასი სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაშია მოქცეული. მათ შორის 40 ათასი ჰექტარი სახნავია და 13 ათას ჰექტარზე მოჰყავთ ჩაი, ციტრუსი და სხვა სუბტროპიკული კულტურები.

კოლხიდელები ამით, რა თქმა უნდა, არ კმაყოფილდებიან. მაღალი ჯილდოს მიღებით აღფრთოვანებული მშრომელები ენერგიის დაუზოგავად შრომობენ სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებებით გათვალისწინებულ დავალებათა შესასრულებლად. მათ 70 ათასი ჰექტარი მიწა უნდა ჩააყენონ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების სამსახურში. ახლად ათვისებული მიწები საშუალებას მოგვცემს 1985 წლისათვის ჩაის ფოთლის წარმოება 550 ათას ტონამდე გადიდდეს, ციტრუსისა — 350 ათას ტონამდე, ლიმონისა — 12 ათას ტონამდე, მომდევნო ხუთწლედის ბოლოსათვის ჩაის ფოთლის წარმოება გადიდდება 700 ათას ტონამდე, ხოლო ციტრუსისა — 500 ათას ტონამდე, ლიმონისა — 100 ათას ტონამდე.

კოლხეთის მიწების დაშრობისა და ათვისების სქემის მიხედვით სამელიორაციო სამუშაოთა დამთავრება საშუალებას მოგვცემს სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში მოვაქციოთ 135 ათასი ჰექტარი მიწები. კოლხეთი უფრო ალორძინდება, გარდაიქმნება ბუნება და, რაც მთავარია, ჩვენი ქვეყნის მშრომელები სულ უფრო მეტ მადლობარსხოვან ჩაის, ციტრუსებსა და სხვა სუბტროპიკულ კულტურათა ნაყოფს მიიღებენ.

მელიორაციის ეფექტიანობა მარტო დაშრობილი მიწების ათვისებით როდი შემოიფარგლება. საქართველოში ბევრ რეგიონს აწუხებს გვალვა. ეს სტიქიური მოვლენა წლითიწლობით დიდ ზარალს აყენებს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქართლ-კახეთისა და სხვა რეგიონების ველ-მინდვრები სარწყავი არხებით დაისერა, რისთვისაც სახელმწიფომ დიდძალი სახსრები გაიღო. ახლა 540 ათასი ჰექტარი სარწყავია. მტკვრის, ალაზნის, ივრის, ლიახვის, არაგვისა და სხვა მდინარეთა წყალმა ბევრი საზოგადოებრივი მეურნეობის მცირემოსავლიანი მიწები სიუხვის სამსახურში ჩააყენა. ალაზნისა და ივრის წყალმა ააღორძინა ალაზნის ველი, გარდაქმნა სამგორის სანახები და სხვ. სარწყავი მიწის ყოველი ჰექტარის უკუგება ხელშესახებია გურჯაანის, გარდაბნის, გორის, მცხეთისა და სხვა რაიონების მთელ რიგ საზოგადოებრივ მეურნეობებში. აქ, სარწყავში მკვეთრად გადიდდა ყურძნის, ხილის, ბოსტნეულის და სხვა კულტურების ჰექტარობრივი მოსავალი, საკოლმეურნეო თუ სამეურნეობათაშორისო გაერთიანებათა ბიუჯეტი განმტკიცდა, იმატა შრომის ანაზღაურებამ და კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებზე.

რწყვის ახალ-ახალი მეთოდები ინერგება მოწინავე კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო მეურნეობებში. აღსანიშნავია „ფრეგატებით“ დაწვიმება, რომელსაც ნარმატებით იყენებენ წნორის მეცხოველეობის კომპლექსში. დაწვიმებით რწყვამ შარშან ერთიორად გაზარდა საკვები კულტურების წარმოება. სარწყავ მიწებს კარგად იყენებენ გარდაბნის რაიონის მთელი რიგი მებოსტნეობის მეურნეობები.

მაგრამ თქმა იმისა, რომ ყველგან სათანადოდ იყენებენ მელიორაციის სიკეთეს, შეცდომა იქნებოდა. კარგა ხანია აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთი რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში წლითიწლობით მცირდება სარწყავში სიმინდის მოსავლიანობა. ეს პირველ რიგში ითქმის კახეთისა და ქართლის მთელ რიგ საზოგადოებრივ მეურნეობებზე. სავალალოა ის, რომ ზოგან სარწყავში უფრო მცირე მოსავალს იწევენ. ეს იმიტომ, რომ ასეთ მეურნეობებში არ იციან წყლის ყადრი, ვერ იყენებენ სამელიორაციო საშუალებებს, სახელმწიფო დავალებათა შესასრულებლად თავს არ იწუხებენ, ზოგან კი თავიანთ უმწეობას სტიქიურ მოვლენებს აბრალებენ; იმას კი ვერ ხედავენ, მათივე გვერდით მოწინავე მეურნეობები, ბრიგადები როგორ ადიდებენ სიმინდისა და საკვები კულტურების მოსავლიანობას.

აღმოსავლეთ საქართველოში ხანგრძლივმა გვალვამ დიდი ზარალი რომ არ გამოინვიოს, საჭიროა უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ სამელიორაციო საშუალებანი, რომ სიმინდისა და სხვა საკვები კულტურების უხვი მოსავალი მოვიწიოთ. მეურნეობათა ხელმძღვანელებმა, სპეციალისტებმა, ყველა მშრომელმა კარგად უნდა იცოდნენ, რომ მეტი სიმინდი მეტი საკვებია, რაც ხორცისა და რძის წარმოების გადიდების, მეცხოველეობის აღმავლობის უტყუარი გარანტიაა.

არცთუ ისე დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც შეიქმნა საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი. გაცილებით უფრო ადრე, რაიონებში ჩამოყალიბდა მართვის ახალი რაიონული რგოლი — აგრესამრეწველო გაერთიანებანი. ახლა შეიქმნა იმის ხელსაყრელი პირობები, რომ კომპლექსურად, უფრო ენერგიულად ეიშრომოთ, განვავითაროთ და მეცნიერულ დონეზე გადავწყვიტოთ მელიორაციის ეფექტიანობის საკითხები.

ახლადათვისებულ მიწებს მაქსიმალური უკუგებით უნდა იყენებდნენ საზოგადოებრივი მეურნეობები, მაგრამ ზოგან ასე როდი ხდება. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ ზეიმის დღეებში კოლხეთის მეცხრეტუსეობის მეურნეობებს უსაყვედურა, რომ ისინი მთელი შესაძლებლობით ვერ იყენებენ ახლადათვისებულ მიწებს. ჯერ კიდევ დიდია სხვაობა საკარმიდამოსა და საზოგადოებრივ მეურნეობათა ციტრუსების ჰექტარობრივ მოსავლიანობაში. ეს მეტად სერიოზული გაფრთხილებაა და მას დიდი გულისყურით უნდა მოეკიდონ საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელები, აგრონომგრეველო გაერთიანებები.

მელიორატორებმა, პარტიის სასოფლო რაიკომებმა, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანოებმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, ყველა კომუნისტმა, ყველა მშრომელმა ცოდნისა და ენერგიის დაუშურებლად უნდა იზრუნონ, ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ ყოველი ჰექტარი მელიორირებული მიწა მაღალეფექტური იყოს.

მოსკოვში ჩამოვიდა

სურათზე: აეროდრომზე შეხვედრის დროს.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოწვევით 3 მაისს მოსკოვში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ჩამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაცია გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ე. ჰონეკერის მეთაურობით.

აეროდრომზე ე. ჰონეკერს, დელეგაციის წევრებს გულთბილად დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ი. ვ. ანდროპოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ტიხონოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი დ. თ. უსტინოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ვ. რუსაკოვი, სხვა ოფიციალური პირნი. (საკდესი).

შეხვედულებათა სრული ერთიანობა

3 მაისს კრემლში გაიმართა საბჭოთა ხელმძღვანელებისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციის მოლაპარაკება.

მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ი. ვ. ანდროპოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ტიხონოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი დ. თ. უსტინოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ვ. რუსაკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. მიტაგი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, გერმანიის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე მ. გერლახი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, გერმანიის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ჰ. ჰომანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, გერმანიის დემოკრატიული გლეხთა პარტიის თავმჯდომარე ე. მეკლენბურგი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს პრეზიდენტი ლ. კოლდიცი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ო. ფიშერი, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარის მოადგილე გ. ტეპლიცი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების გამგე გ. ზიბერი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ე. ვინკელმანი.

გულითად ამხანაგურ ატმოსფეროში მოლაპარაკების მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს ინფორმაცია საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში კომუნისტური და სოციალისტური მშენებლობის მიმდინარეობის, იმ აქტუალური პრობლემების შესახებ, რომელთა გადაჭრასაც ხმარდება ახლა მათი პარტიისა და ხალხების შეცადნეობა.

მხარეებმა დიდი კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობა წარმატებით და დინამიკურად ვითარდება მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ 1975 წლის 7 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულების სულისკვეთებით. ორივე სახელმწიფოს ხალხების ძმური მეგობრობის მამოძრავებელი ძალაა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის საბრძოლო კავშირი, რომელიც ეყრდნობა მარქსიზმ-ლენინიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის ურყევ საფუძველს და რომელსაც ახასიათებს შეხედულებათა სრული ერთიანობა თანამედროვეობის ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხში.

სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიულმა და სახელმწიფო მოღვაწეებმა განაცხადეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კვლავაც თანამემდევრულად გააღრმაონ თანამშრომლობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში. კერძოდ, მათ აღიარეს, რომ საჭიროა განახორციელონ ეკონომიკური პოლიტიკის უფრო მჭიდრო შეთანხმების ღონისძიებანი, განსაზღვრეს ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური ურთიერთობების გაფართოების მთავარი მიმართულებანი.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ ახლანდელ საერთაშორისო ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სოციალისტური თანამეგობრობის, ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცებას, მომეგ სახელმწიფოთა კავშირის საიმედო უშიშროების უზრუნველყოფას. სსრ კავშირი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა კვლავაც აქტიურად შეუწყობენ ხელს ამას.

საერთაშორისო საკითხთა განხილვის დროს მოლაპარაკების მონაწილეებმა გამოთქვეს საერთო რწმენა, რომ ახლა არ არსებობს იმაზე უფრო გადაუდებელი ამოცანა, ვიდრე ომის საფრთხის თავიდან აცილება, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების მილიტარისტული წრეების აგრესიული პოლიტიკა ქმნის. სსრ კავშირი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა კვლავაც მტკიცედ აცხადებენ საერთაშორისო პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებას, ენერგიულად იბრძოლებენ გამალებული შეიარაღების ალაგმვისათვის.

განსაკუთრებული შეშფოთება გამოთქვა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს იმ გეგმებთან დაკავშირებით, რომ ამა წლის დამლევს დაიწყონ დასავლეთ ევროპის ქვეყნების ტერიტორიაზე საშუალო სიშორის ახალი ამერიკული ბირთვული იარაღის განლაგება. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციამ განაცხადა, რომ მთლიანად უჭერს მხარს საბჭოთა კავშირის პოზიციას ევროპაში ბირთვული იარაღების შესახებ ამერიკის შეერთებულ შტატებთან მოლაპარაკებაზე, რომელიც მტკიცედ ეყრდნობა მხარეთა თანასწორობისა და თანაბარი უშიშროების პრინციპს.

ორივე მხარეს ერთი აზრი ჰქონდა, რომ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის პრაღის თათბირზე მიღებულ პოლიტიკურ დეკლარაციაში ჩამოყალიბებული დებულებანი პოლიტიკური და სამხედრო კონფრონტაციის იმპერიალისტური კურსის რეალური ალტერნატივაა. მათ კვლავ მიაპყრეს ყურადღება წინადადებას, რომ დაიდოს ხელშეკრულება სამხედრო ძალის ურთიერთგამოუყენებლობისა და ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებისა და ჩრდილოატლანტიკური კავშირის ქვეყნების მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნების შესახებ. მისი რეალიზაცია დიდმნიშვნელოვანი ეტაპი იქნება ხალხთა მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის ბრძოლაში.

სსრ კავშირმა და გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ დადასტურეს, რომ სოლიდარობას უცხადებენ ხალხებს, რომლებიც იბრძვიან თავიანთი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისათვის იმპერიალიზმის, ჰეგემონიზმისა და საერთაშორისო რეაქციის ძალების წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია კვლავაც თანამიმდევრულად იმოქმედებენ საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის შეკავშირების განმტკიცებისათვის.

სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიულმა და სახელმწიფო მოღვაწეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ კარლ მარქსის მოძღვრება, რომლის დაბადების 165 წლისთავი და გარდაცვალების 100 წლისთავი წელს აღინიშნება, უდიდეს გავლენას ახდენს ისტორიული განვითარების მთელ მსვლელობაზე. კაცობრიობა ცხოვრობს და იცხოვრებს მარქსის, ენგელსისა და ლენინის მოძღვრების სულისკვეთებით, მათი უკვდავი იდეების გამარჯვების ნიშნით.

მოლაპარაკების დროს მხარეებმა დაადასტურეს შეხედულებათა სრული ერთიანობა ყველა განხილულ საკითხზე. (საკდესი).

ჯილდოს გადაცემა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა ი. ვ. ანდროპოვმა 3 მაისს კრემლში ლენინის ორდენი და საბჭოთა კავშირის გმირის „ოქროს ვარსკვლავის“ медალი გადასცა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ტიხონოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი დ. თ. უსტინოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ვ. რუსაკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. მიტაგი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, გერმანიის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე მ. გერლახი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, გერმანიის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ჰ. ჰომანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ე. ჰონეკერი, გერმანიის დემოკრატიული გლეხთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჰ. ა. ალიევი, მ. ს. გორბაჩოვი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ნ. ა. ტიხონოვი, დ. თ. უსტინოვი, ვ. ი. დოლგიხი, ვ. ვ. კუზნეცოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, მ. ვ. ზიმიანინი, ი. ვ. კაპიტონოვი, ნ. ი. რიჟკოვი, კ. ვ. რუსაკოვი და სხვა ოფიციალური პირნი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მხრივ იყვნენ პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციის წევრები.

დაჯილდოების ცერემონიაზე გამოვიდა ამხ. ი. ვ. ანდროპოვი.

ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლა

პატივცემულო ამხანაგებო!

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სასიამოვნო მოვალეობა დამაკისრა — ლენინის ორდენი და საბჭოთა კავშირის გმირის „ოქროს ვარსკვლავი“ გადავცე გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ერიხ ჰონეკერს.

ეს უმაღლესი საბჭოთა ჯილდო ჩვენს ძვირფას მეგობარს, თანამიმდევარ ინტერნაციონალისტს მიენიჭა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიური მონაწილეობისათვის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის განმტკიცებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, მშვიდობის საქმისა და სოციალიზმის პოზიციების განმტკიცებაში დიდი წვლილისათვის.

აი, უკვე ათ წელზე მეტია, რაც ამხანაგი ჰონეკერი გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანია. ეს პერიოდი აღინიშნა რესპუბლიკის ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი ყოველმხრივი აღმავლობით, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებით, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო ავტორიტეტის ამაღლებით.

ჩვენ ვხედავთ, როგორ გაფართოდა უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენი ქვეყნების კავშირურთიერთობა, კიდევ უფრო განმტკიცდა ჩვენი ხალხების ურღვევი მეგობრობა. ეჭვი არ უნდა ვიქონიოთ, რომ დღეს დაწყებული გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციის ვიზიტი კარგ იმპულსს მისცემს ჩვენი ურთიერთმოქმედების შემდგომ სრულყოფას სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ხალხთა ინტერესებისათვის, ჩვენი საერთო კომუნისტური საქმის ინტერესებისათვის.

ძვირფასო ამხანაგო ჰონეკერ! გულითადად გილოცავთ ჯილდოს. გადმოგცემთ რა მას, სიამოვნებით ერთხელ კიდევ ვუსვამ ხაზს, რომ საბჭოთა ადამიანები გულწრფელი ძმური გრძნობებით არიან გამსჭვალული თავიანთი ერთგული მეგობრებისა და თანამებრძოლებისადმი — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებისადმი.

სულითა და გულით გისურვებთ ჯანმრთელობას, უშრეტ ენერგიასა და ახალ წარმატებებს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში განვითარებული სოციალიზმის მშენებლობისათვის, ჩვენი პარტიებისა და ხალხების ინტერნაციონალისტური თანამშრომლობის განმტკიცებისათვის, თქვენს დაუცხრომელ მოღვაწეობაში.

* * *

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ამხ. ე. ჰონეკერმა.

ამხანაგ ე. ჰონეკერის გამოსვლა

ძვირფასო ამხანაგო იური ვლადიმერის ძე ანდროპოვ!

ძვირფასო საბჭოთა მეგობრებო!

ნება მიბოძეთ გულითადი მადლობა მოვახსენო სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, მის პოლიტბიუროს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს იმისათვის, რომ ესოდენ დიდი პატივი დამდეს — მომანიჭეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და გადმომცეს ლენინის ორდენი და медალი „ოქროს ვარსკვლავი“. ეს შთამაგონებელი მომენტია კომუნისტის ცხოვრებაში. იგი სახიერულს მგვრის და ამავე დროს შესაძლებლობას მაძლევს უფრო სრულად შევეგრძნო ის დიდი ძალა, რომელსაც წარმოშობს ლენინის პარტიასთან და დიდი ოქტომბრის სამშობლოსთან ძმური ერთიანობა.

ჩემთვის ამ ჯილდოს გადმოცემას ამავე დროს მივიჩნევ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელი ხალხის დამსახურების მაღალ შეფასებად, თავიანთი საქმეებით ისინი ცდილობენ გერმანიის მიწა-წყალზეც წარმატებით განახორციელონ კარლ მარქსის, ფრიდრიხ ენგელსისა და ვლადიმერ ილიას ძე ლენინის უკვდავი იდეები. ისინი ისწრაფვიან ყოველდღიურად აქტიური წვლილი შეიტანონ სოციალიზმისა და მშვიდობისათვის ჩვენი ერთობლივი ბრძოლის საქმეში.

სწორედ ახლა მაგონდება საბჭოეთთან და მის ადამიანებთან, ახალი, სოციალისტური სამყაროს მშენებლებთან ბევრი დაუვიწყარი მეგობრული შეხვედრა. პირველად ეს 1930-1931 წლებში მოხდა. მე, ახალგაზრდა გერმანელ კომუნისტს, წილად მხვდა ბედნიერება გამოვეგზავნე სასწავლებლად მოსკოვის საერთაშორისო ლენინურ სკოლაში და მონაწილეობა მიმეღო მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატის მშენებლობაში. უკვე მაშინ საბჭოთა ხალხის შრომითმა წარმატებებმა და ენთუზიაზმმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე.

თავისი არსებობის სამოცი წლის მანძილზე სსრ კავშირმა ისტორიული გარდაქმნების უზარმაზარი გზა გამოიარა. ამ გზაზე ყველაზე დამჯერებლად გამოვლინდა რევოლუციის საქმის უძლეველობა, ძლევამოსილება, საბჭოთა ხალხის გმირობა როგორც აღმშენებლობითს შრომაში, ისე ფაშისტი აგრესორების წინააღმდეგ დიდი სამამულო ომის დროს სამშობლოს დაცვაში. დღეს ლენინის ქვეყანა, აღწევს რა აღმაფრთოვანებელ წარმატებებს, სსრკულს სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებს და სრულყოფს განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებას. ყოველი დღე კვლავ ადასტურებს, რომ სსრ კავშირი ჩვენს პლანეტაზე მშვიდობისა და სოციალიზმის ძლავრი ბურჯია.

ჩვენი პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციის ახლანდელი ვიზიტი ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნების, სახელმწიფოებისა და ხალხების ძმური ურთიერთობის განმტკიცებასა და გაღრმავებას. ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური მშენებლობისა და რთულ საერთაშორისო ვითარებაში მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში ჩვენს წინაშე მებრძოლებისადმი — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებისადმი.

სულითა და გულით გისურვებთ ჯანმრთელობას, უშრეტ ენერგიასა და ახალ წარმატებებს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში განვითარებული სოციალიზმის მშენებლობისათვის, ჩვენი პარტიებისა და ხალხების ინტერნაციონალისტური თანამშრომლობის განმტკიცებისათვის, თქვენს დაუცხრომელ მოღვაწეობისათვის.

* * *

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელებმა გულთბილად მიიღეს ამხანაგ ე. ჰონეკერის სსრ კავშირის უმაღლესი ჯილდო, უსურვეს ახალი წარმატებანი მრავალ მხრივ მოღვაწეობაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შემდგომი აყვავების საკეთილდღეოდ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის, საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხთა ძმური მეგობრობის განმტკიცების ინტერესებისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის. (საკდესი).

ტექნიკური პროგრესი დროის მოთხოვნაა

ჩარხმშენებელთა რეალური ოპტიმიზმი

ოპტიმისტური განწყობილებაა თბილისის „ჩარხმშენებლის“ საწარმოო გაერთიანებაში. მისი კოლექტივი, მართალია, ძნელად, მაგრამ დამაჯერებლად იბრუნებს მოწინავე პოზიციებს, რომლებიც 5 წლის წინათ დათმო. დაძლეულია უამრავი ტექნიკური და საორგანიზაციო ხასიათის სირთულენი, მოგვარებულია ბევრი ისეთი საკითხი, რომელთა გადაწყვეტის იმედი არცთუ ისე დიდი ხნის წინათ აქ ზოგიერთს აღარ ჰქონდა... ახლა, რაც მთავარია, ჩარხმშენებლებმა ირწმუნეს, რომ მათ ძალუძთ გადალახონ ყოველგვარი დაბრკოლება, რასაც პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება.

რა არის ის მთავარი რამაც დაუბრუნა რწმენა გაერთიანებისა და კერძოდ მისი მეთაური საწარმოს — კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის კოლექტივს? პირდაპირ ვიტყვით — ახალი ტექნიკის ათვისება. ყველა მეურნემ კარგად იცის, თუ რარიგ რთულია ძველი პროდუქციის ახლით შეცვლა, თუნდაც საქმე ერთი სახეობის ნაწარმს ეხებოდეს. მაგრამ თუ ლაპარაკია წარმოების საშუალებათა წარმოების ასორტიმენტის მთლიან განახლებაზე, კერძოდ, რამდენიმე მოდელის ურთულესი კონსტრუქციის თანამედროვე ჩარხზე, მაშინ გასაგები გახდება კიროველთა ოპტიმიზმი.

დიახ, მიმდინარე წლიდან გაერთიანებაში ათთვისუს მილების დასამუშავებელი ეკონომიური სპეციალური ჩარხების 14 ახალი მოდელი და 7 მათგანი — პირველად ჩვენს ქვეყანაში. თითოეული ამ თოთხმეტიდან მთლიანად აკმაყოფილებს ტექნიკური პროგრესის გაზრდილ მოთხოვნებს და ამიტომაც ყველას სახელმწიფო ხარისხის ნიშანი მიენიჭა. მიღწევები სპეციალური ჩარხების წარმოების განახლების მიმართულებით გაერთიანებისათვის არნახულია, მაგრამ არც ეს გახლავთ ზღვარი. არანაკლებ მნიშვნელოვანი და სასიამოვნოა მეორე ფაქტიც: კიროველებმა უარი თქვეს ტრადიციულ, სერიულ „1363“ მოდელის სახარატო ჩარხნსაჭრელ ჩარხზე, რომლის რაოდენობაც წარმოების მთლიან მოცულობაში 51 პროცენტს შეადგენს. მისი ადგილი დაიკავა 15-20 პროცენტით უფრო მწარმოებლურმა, მოდერნიზებულმა „1363დ“ მოდელის სერიულმა ჩარხმა.

მაშ ასე, გაერთიანების პროდუქციის ასორტიმენტი მთლიანად განახლდა. ნიშნავს თუ არა ეს, რომ კიროველებმა გადაწყვიტეს ყველა პრობლემა და დაადწიეს თავი ჩამორჩენას? რა თქმა უნდა, არა. იმისათვის, რომ გაერთიანება მოწინავეთა რიგებში ჩადგეს, ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს. პროდუქციის ასორტიმენტის მთლიანი განახლება ხელს შეუწყობს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის მკვეთრ გაუმჯობესებას. ეს სწორია, მაგრამ მართალია ისიც, რომ ამღენი სახეობის ნაწარმის ერთბაშად ახლით შეცვლას თან ახლავს გარდაუვალი თავისებურებანი, სიძნელენი, ერთგვარი შეფერხებანი. ყველაფრის კალაპოტში ჩაყენებას გარკვეული დრო დასჭირდება. თუმცაღა, კიროველები ვარაუდობენ, რომ ამ დროს მაქსიმალურად შეამჭიდროვებენ და წლეულსვე შეძლებენ გაერთიანების მუშაობაში ძირეული გარდატეხის შეტანას.

როგორ და რატომ აღმოჩნდა მძიმე მდგომარეობაში გაერთიანება, ამის შესახებ თავის დროზე გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა კრიტიკული წერილი „დაკარგული პოზიციები“. მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა და ამიტომ მკითხველს მოკლედ შევახსენებთ საწარმოს ჩამორჩენის ზოგიერთ მიზეზს.

ათეული წლების მანძილზე საწარმოში შესანიშნავი შრომითი ტრადიციები დაამკვიდრეს. 1936 წლიდან მოყოლებული ქარხნის კოლექტივს არაერთხელ უსახელებია თავი დარგის საწარმოთა შორის გამლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ხშირად გამოუჩენია პატრიოტული ზაოსნობა, პირველობდა თბილისსა და მთლიანად რესპუბლიკის მრეწველობაში. მეცხრე ხუთწლედში ქარხნის კოლექტივმა 17-ჯერ გაიმარჯვა შრომითს მეტოქეობაში და ქვეყნის ჩარხსაშენებელ მრეწველობაში პირველი ადგილი დაისაკუთრა.

თითქოსდა ყველაფერი კარგად მიმდინარეობდა. მიღწევები ერთი შეხედვით, იმაზე მეტყველებდა, რომ მომავალში მაჩვენებლები უფრო დამაჯერებელი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ასე არ მომხდარა. წარმატებით თავბრუდახვეულთ გადაავიწყდათ ქარხნის განვითარების პერსპექტიულ გეგმაში ჩახედვა. გეგმა კი, სათანადო ორგანიზაციულ ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად საწარმოს დინამიკურ ზრდას ითვალისწინებდა. ამიტომაც 1977 წლიდან საწარმოს ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების დაცემა დაიწყო და მომდევნო წლებში, მიუხედავად გეგმის სისტემატური კორექტირებისა, მდგომარეობა უფრო და უფრო უარესდებოდა.

გაერთიანებაში შექმნილი ვითარება შეუწყნარებელი გახდა. სახელმწიფო გეგმების შეუსრულებლობას ემატებოდა მუშათა არასახარბიელო საყოფაცხოვრებო პირობები.

სწორედ ამ პერიოდში შეიცვალა გაერთიანების სამეურნეო და შემდეგ პარტიული ხელმძღვანელობაც. დაიწყო თავგადადებული ბრძოლა საწარმოს უმძიმესი მდგომარეობიდან გამოყვანისათვის.

— ყველაფერს, რაც შექმნილი ვითარების სტაბილიზაციისათვის გაკეთდა, — ამბობს გაერთიანების გენერალური დირექტორი გ. ჯიქიძე, — ვერ ჩამოთვლი. საერთოდ, არც არის ალბათ საჭირო ყველაფერზე დაწვრილებით ლაპარაკი, მაგრამ არის მომენტები, რომლებიც გადამწყვეტად მიმაჩნია და ამაზე უნდა მოგახსენოთ. საქმე ის არის, რომ პარტიის ფრთოსანი ლოზუნგი „კადრები წყვეტენ ყველაფერს“ ყოველთვის იყო და არის აქტუალურზე აქტუალური. და სწორედ კადრების შერჩევით, მათი გადაწყნარებით შევუდექით საქმეს. ყველაფერი ვიღონეთ, რათა მუშებისათვის საწარმოსადმი „მიძინებული“ პატრიოტული გრძნობა გაგვეღვიძებინა. ამაში, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, გაერთიანების პარტიული ორგანიზაცია დაგვეხმარა. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციამ წესრიგის დამყარებისათვის, დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლა პარტიულ კომიტეტთან ხელიხელჩაკიდებული დაიწყო, სხვანაირად, ალბათ, დამაჯერებელ შედეგს ვერ მივაღწევდით. ჩვენი ყურადღების ცენტრში მოექცა საამქროს უფროსების, მათი მოადგილეების, ოსტატების კომპეტენტურობისა - და პასუხისმგებლობის საკითხი. ამ მიმართულებით ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ გასაკეთებელი კვლავ უამრავი.

ამბ. გ. ჯიქიძესთან საუბარში ნათლად გამოიკვეთა აზრი იმის შესახებ, რომ ფაქტობრივად ყალიბდება წარმოების ყველა რგოლის მეთაურთა, გაერთიანების განყოფილებათა ხელმძღვანელების, მუშების ახალი კოლექტივი, რომლის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმი ხდება მაღალი ორგანიზებულობა, მინდობილი საქმისადმი ერთგულება, წარმოების კულტურის ამაღლებისათვის, მისი პრესტიჟის ღირსებისათვის ბრძოლა, პროგრესული ტექნიკური სიახლის დანერგვისადმი მუდმივი სწრაფვა. იმ ღონისძიებათა კომპლექსიდან, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს გაერთიანების აღმავლობას, წინა პლანზეა წამოწეული საწარმოს ყველა რგოლის შეთანხმებული მუშაობა, დაგეგმარების საკითხებში ანგარიშგება, შრომის სწორი, ობიექტური ანაზღაურება, სასაწყობო მეურნეობის მოგვარება, ტექნიკური კონტროლის პასუხისმგებლობის მკვეთრი ამაღლება...

დიახ, გაერთიანებაში ძალიან ბევრი რამ გაკეთდა. მაგრამ ჯერ მაინც ვერ მიაღწიეს ყველა მაჩვენებლის მიხედვით სახელმწიფო გეგმების შესრულების სტაბილურობას. ამიტომაც, გაერთიანების ხელმძღვანელობა, ყველა სპეციალისტი, მთელი კოლექტივი დაძაბული მუშაობის მიმდინარე ეტაპზე საგნობრივად უდგება შრომის ნაყოფიერების ზრდის, ერთეულ პროდუქციაზე დანახარჯების შემცირების, დანაგარცა ცვლიანობის კოეფიციენტის ამაღლების, ფონდფაუგების გადიდების, მატერიალური რესურსებისა და ელექტროენერგიის ეკონომიის რეჟიმის გაძლიერების საკითხებს და ყველაფერი ეს უთუოდ გამოიღებს თავის ნაყოფს.

კორესპონდენციის დასაწყისში აღვნიშნეთ, რომ გაერთიანების ჩამორჩენაში თავისი როლი სოციალური საკითხების მოუგვარებლობამაც შეასრულა. ამ მიზეზით ბევრმა კვალიფიციურმა მუშამ და სპეციალისტმა მიატოვა საწარმო. გაერთიანების ხელმძღვანელობა და პარტორგანიზაცია კადრების შენარჩუნებასთან დაკავშირებული რთული პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ. ეს საკითხი, როგორც ზემოთ ითქვა, აქ მეტად აქტუალურად მიაჩნიათ.

და აი მიუხედავად მძიმე ფინანსური მდგომარეობისა გაერთიანებამ შარშან 48-ბინიანი სახლი ააშენა. წლეულს კი საექსპლოატაციოდ გადაეცემა ორი 75 და 78-ბინიანი საცხოვრებელი სახლები. დაწყებულია კიდევ ერთი 48-ბინიანი სახლის მშენებლობა, გაისად კი 16-სართულიანი სახლი აიგება. ასე რომ, ახლო მომავალში მუშა-მოსამსახურეთა ბინებით დაკმაყოფილების საკითხი მოგვარდება. წლეულსვე დამთავრდება მეთაური ქარხნის სპორტული კომპლექსის მშენებლობაც.

გაერთიანების კოლექტივის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას ხელი უნდა შეუწყოს საკუთარი სასურსათო პროგრამის განხორციელებამ. წლეულს მარნეულის რაიონში ჩარხმშენებლებს გამოეყოფა 370 ჰექტარი მიწის ნაკვეთი საბაზო დამხმარე მეურნეობის შესაქმნელად. 153 ჰექტარი აქედან სახსნავ-სათესია, 27 ჰექტარი ვენახი და ხეხილი ბაღებია, 70 ჰექტარამდე ფართობი საძოვრად და თივის მოსაყვანად არის განკუთვნილი. საკმაოდ დიდი ტერიტორია რჩებათ ჩარხმშენებლებს მეღორეობის, მსხვილფეხა რქოსნი პირუტყვისა და მეფრინველეობის ფერმების ასაშენებლად.

გაერთიანების ადმინისტრაციის, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა ცხოვრების დღევანდელ ეტაპზე მთლიანად მიესადაგება სკკპ XXVI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის მოთხოვნებს.

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ თავის სიტყვაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის მიმდინარე წლის 15 აპრილის გაერთიანებულ სხდომაზე მაღალი შეფასება მისცა „ჩარხმშენებლის“ საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორის გ. ჯიქიძის და მისი კოლექტივის მოღვაწეობას. აღინშნა, რომ ამოცანების რომლებსაც ისინი წყვეტენ, სერიოზული მნიშვნელობა აქვს მთელი ქვეყნისათვის და ამიტომაც მათ უნდა დაეხმაროს და მხარი დაუჭიროს ყველამ, ვისაც ეს ეხება.

ტექნიკური სირთულეების დაძლევაში გაერთიანებას სისტემატურად ეხმარება სსრ კავშირის ჩარხმშენებლობის სამინისტრო. სხვათა შორის, როცა გაერთიანების დირექტორთან გ. ჯიქიძესთან მივედი, მასთან დამხვდა კ. ფირსოვი — ზემოხსენებული სამინისტროს იმ საკავშირო გაერთიანების მთავარი ინჟინერი, რომლის გამგებლობაშიც თბილისის გაერთიანება შედის . მან მითხრა, რომ განიხილა პროექტი ახალი ჩარხისა, რომელიც აქ მოკლე ხანში უნდა აითვისონ. თურმე ნუ იტყვით: იმ „1363დ“ მოდელის სახარატო ხრახნსაჭრელ ჩარხს, რომლის სერიულ გამოშვებას საწარმოში ეს-ეს არის შეუდგნენ, დიდი ხნის „სიცოცხლე“ არ უწერია. მას უკვე ამ ხუთწლედში შეცვლის ახალი, ოპერატიული ციფრულ-პროგრამული მართვის ჩარხი. ერთი სიტყვით, საწარმოში ძველი შეცდომები აღარ გამეორდება: იცხოვრებენ პერსპექტიულად და არა დღეგანდელი დღით, რაც შეუნელებელი წინსვლის საწინდარია.

თბილისის „ჩარხმშენებლის“ საწარმოო გაერთიანების კოლექტივმა ფართოდ გაბალა სოციალისტური შეჯიბრება გეორგიევსკის ღორსეული შეხვედრისათვის და ემზადება აგრეთვე მეორე მნიშვნელოვანი თარიღის აღსანიშნავად. საქმე ის არის, რომ მეთაურ ქარხანას გაისად საექსპლოატაციოდ გადაეცემის 50 წელი ელინდება. კიროველთა გადაწყვეტილებაა ამ დროისათვის დაუბრუნონ საწარმოს მოწინავის სახელი და გახადონ საუკეთესო როგორც რესპუბლიკაში, ისე დარგში.

შ. ამაშუკელი,
„კომუნისტის“ კორ.

სურათზე: თბილისის „ჩარხმშენებლის“ საწარმოო გაერთიანებაში მზად არის ახალი სახარატო ხრახნსაჭრელი ჩარხების „1863დ“ მოდელის რამდენიმე ნიმუში. წინა პლანზეა ამწყობ ზეინკალთა ბრიგადის ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი რ. ორაგველიძე.

ჯ. ლომაძის ფოტო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ამიერკავკასიის ფოთელდროშოვანი სამხედრო ოლქის შტაბის ორდენსტრისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული კოლექტივის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მეომართა სამხედრო-პატრიოტულ, მუსიკალურ-ესთეტიკურ და ინტერნაციონალურ აღზრდაში დიდი დამსახურებისათვის და დაარსების 40 წლისთავთან დაკავშირებით ამიერკავკასიის წოთელდროშოვანი სამხედრო ოლქის შტაბის ორკესტრს მიენიჭოს საპატიო წოდება „საქართველოს სსრ დამსახურებული კოლექტივი“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჯ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი.

1983 წლის 20 აპრილი.

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით:

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურების, ხანგრძლივი ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოც წლთან დაკავშირებით მწერალი ვლადიმერ სოლომონის ძე **გელაშვილი** დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით.

თეორიულ-პრაქტიკული კონფერენცია

ცაგერი. (საკ. კორ.). გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს მიეძღვნა თეორიულ-პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც ამ დღეებში გაიმართა პარტიის ცაგერის რაიკომის საქმეთა დარბაზში.

მოხსენება „რუსეთთან საქართველოს დამეგობრების 200 წელი“ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შტატგარეშე ლექტორმა მ. ცქიტიშვილმა.

კონფერენციის მსმენელებმა მოისმინეს თანამოხსენებანი: — „გეორგიევსკის ტრაქტატის ისტორიული მნიშვნელობა“, „საქართველო რუსეთთან შეერთების წინ“, „გეორგიევსკის ტრაქტატი რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის მანიფესტია“, „ქართველი ხალხის ისტორიული გზის სწორი არჩევანი“ და სხვ.

ვ. ციხელაძე.

საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, დაინტერესებით განიხილავენ შრომითი კოლექტივებისა და საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა მართვაში მათი როლის ამაღლების შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტს. ამის დამაჯერებელი დადასტურებაა ათასობით საქმიანი წინადადება და სურვილი, რომლებიც მშრომელებმა უკვე გამოთქვეს რესპუბლიკის შვიდი ათასზე მეტ შრომითს კოლექტივზე პროექტის განხილვის დროს. 800 ათასზე მეტმა კაცმა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს მის განხილვაში, ერთსულოვნად მოიწონა ახალი საერთოსაკავშირო კანონის პროექტი, რომელშიც აისახა პარტიისა და მთავრობის პოლიტიკა, სოციალისტური დემოკრატიის შემდგომ განვითარებას რომ ისახავს მიზნად.

ეს ითქვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე, რომელზეც იმსჯელეს იმის თაობაზე, თუ როგორ მიმდინარეობს შრომითი კოლექტივებისა და საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მართვაში მათი როლის ამაღლების შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტის განხილვა. ამ საკითხზე ინფორმაციები გააკეთეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა თ. ლაშქარაშვილმა, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. კობახიამ, თბილისის კიროვის სახელობო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. კანდელაკმა, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარემ ა. ჩემბერჯიანმა.

ორატორებმა აღნიშნეს, თუ რა უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ახალი კანონის პროექტს, და თქვეს, რომ იგი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციისა-გან განსხვავებით სოციალისტური (კომუნისტური) საზოგადოების წარმომობასა და განვითარებაში ყველაზე უფრო შეიმჩნევა სპეციფიკური კანონების წინა პლანზე წამოწევა, მათი მკვეთრი განსხვავებული მოქმედება. ეს კანონზომიერება სოციალისტური რევოლუციის პირველ წლებში ბევრმა პრიმიტიულად მოაზროვნე ადამიანმა არასწორად გაიგო. მათი აზრით, ძველი წყობილებიდან — კაპიტალიზმიდან სოციალისტური კულტურა თითქოს არაფერს არ ღებულობს; კიდევ მეტიც: საქმე იქამდისაც კი მივიდა, რომ მოითხოვდნენ მეფისდროინდელი ფაბრიკა-ქარხნებისა და რკინგზების დანგრევას და ახლის შექმნას; სკოლებში სასწავლო პროგრამებიდან ამოიღეს რევოლუციამდელი პეტიოდის კლასიკოსი მწერლების ნაწარმოებები. ასეთ პოზიციაზე იდგნენ ეგრეთ წოდებული პროლეტკულტელები. კულტურისადმი ამგვარმა ვულგარულმა და ნიჰილისტურმა დამოკიდებულებამ თეორიულად მცდარი და პრაქტიკულად მავნე შედეგები გამოიღო. პარტიამ თავის დროზე დაგმო ასეთი პრიმიტიული და ვულგარული შეხედულებები და ლენინის მითითებათა შესაბამისად ყველაფერი გააკეთა ომისათვის, რომ სოციალისტური კულტურის განვითარებისათვის მაქსიმალურად გამოეყენებინა ძველი კულტურის საუკეთესო ელემენტები.

ამრიგად, სოციალიზმს ძველ წყობილებასთან აქვს არა მარტო განმასხვავებელი ნიშნები (რომლის აბსოლუტად გადაქცევა პროგრესის წინააღმდეგ იქნებოდა მომართული), არამედ საერთო ნიშნებიც, რომლებიც ძველ კულტურასთან მემკვიდრეობითად გვაკავშირებს და პროგრესს ხელს უშლიდა. ეს პროცესი ემყარება ზოგად სოციოლოგიურ კანონებს, რომელთა მიხედვითაც ახალი წარმოება ძველი წყობილებისგან იზოლირებულად და მისი გაქრობის შემდეგ კი არ წარმოიშობა, არამედ იგი ძველის წიაღში და ადამიანთა ნებისაგან დამოუკიდებლად იქმნება. ამასთან ერთად სოციალისტურ წარმოებაში ურთიერთობათა წარმოშობასა და განვითარებას აქვს თავისი სპეციფიკა: ძველის წიაღში სოციალისტური წყობილების ჩასახვას წინ უსწრებს პროლეტარიატის რევოლუციური ხელისუფლება, რომელიც ბერკეტს წარმოადგენს სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის.

აღნიშნული კანონზომიერებით უნდა ავხსნათ, რომ კომუნისტური ფორმაციის პირველ ფაზას — სოციალიზმს არა აქვს თავისი განვითარების საკუთარი საფუძველი. ამ საზოგადოების ობიექტური და სუბიექტური წანამძღვრები კაპიტალიზმში მზადდება. „ამიტომ, მას ყოველმხრივ — ეკონომიკურად, ზნეობრივად, გონებრივად, ჯერ კიდევ დაღი აზის ძველი საზოგადოებისა, რომლის წიაღიდან ის გამოვიდა“ (მარქსი). მაგრამ რას ღებულობს და რას უარყოფს იგი ძველი საზოგადოებიდან? ამ კითხვაზე პასუხს ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის გამოცდილება იძლევა.

სოციალიზმმა, რომელმაც უარყო კაპიტალიზმი, მემკვიდრეობად მიიღო მის წიაღში შექმნილი დადებითი მონაპოვრები: საწარმოო ძალები, ტექნიკა, მეცნიერება და საერთოდ კულტურისა და ცივილიზაციის საუკეთესო ელემენტები; მაგრამ მოსპო ბურჟუაზიული სახელმწიფო, ადამიანის ჩაგვრასა და ექსპლოატაციაზე დამყარებული კაპიტალისტური წარმოებანი, ბურჟუაზიული ცხოვრების წესი, რომელიც წინ ეღობებოდა საზოგადოებრივ პროგრესს; ჩამოყალიბდა ახალი, სოციალისტური ბაზისი და მისი შესაბამისი ზედნაშენის სისტემა, შეიქმნა სოციალისტური კულტურა და ყოფაცხოვრება. აყვავდა მეცნიერება და ხელოვნება. ყველაფერი, რაც ჩვენმა ხალხმა შექმნა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ცარიელ ადგილას არ წარმოშობილა, მას მემკვიდრეობითი კავშირი აქვს წარსულთან, იმ ღირებულებებთან, რომლებიც კაცობრობამ შექმნა. აღსანიშნავია, რომ ექსპლოატატორული წყობილების პირობებში მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგები მშრომელი ხალხის წინააღმდეგ არის მიმართული, უფრო მეტიც, იმპერიალიზმის ავანტიურისტული წრეები დღეს ბირთვული, კატასტროფით ემუქრებიან მსოფლიოს. სოციალიზმის პირობებში კი მაღალ ღირებულებათა ცენტრში ადამიანი, წარმოების მუშაკია მოქცეული. კულტურის ყველა ელემენტი ადამიანის კეთილდღეობის სამსახურში დგას და ჰუმანიზირებული ხასიათისაა, მშვიდობის საქმეს ემსახურება.

ამრიგად, ანტაგონისტურ საზოგადოებაში მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობანი თავდანვე წინააღმდეგობრივია. ერთი, მხრივ მასში მოცემული იყო ისეთი მემკვიდრეობა, რომელიც საერთო-საკაცობრიო ხასიათისაა და საზოგადოებრივ პროგრესს ემსახურებოდა, ასეთი მემკვიდრეობა, როგორც სასარგებლო სოციალიზმმა მიიღო და თავისი განვითარების დასაყრდენად გაიხადა, ხოლო მეორე მხრივ, მემკვიდრეობის ისეთი ელემენტები, რომლებიც კაპიტალისტური ცხოვრების წესის არსს გამოხატავს, ხალხის ინტერესების წინააღმდეგ არის მიმართული; ასეთ მემკვიდრეობას, როგორც მავნეს, ჩვენ ვებრძვით და უკუვაგდებთ. კაპიტალიზმი, როგორც ცხოვრების წესი, დღეს მთლიანად მოძველდა, იგი უკვე აღარ შეესაბამება კაცობრიობის განვითარების ინტერესებს.

ჰ. ვ. ჯაიავარდენე: „საბჭოთა საქართველოს წარმატებანი შთამბეჭდავია“

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მოწვევით საბჭოთა კავშირში მყოფი შრი ლანკის ფონდის პრეზიდენტი, ცნობილი ლანკელი იურისტი ჰექტორ ვილფრედ ჯაიავარდენე მეუღლითურთ სამი დღის განმავლობაში ეცნობოდა საქართველოს სს რესპუბლიკის ცხოვრებას.

ლანკელმა სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი, მისი ახალშენებლობანი და ძველი რესტავრირებული უნაგები, მცხეთისა და ჯვარის ძველი არქიტექტურული ანსამბლები, ეწვივნენ საქართველოს ისტორიის მუზეუმსა და ღია ცის ქვეშ ქართული ეროვნული არქიტექტურის ეთნოგრაფიულ მუზეუმს, ბავშვთა სუროათების „გალერეას, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენას. ისინი შეხვდნენ თანამემამულეებს, რომლებიც თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ.

შრი ლანკიდან ჩამოსული სტუმარი ესაუბრა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს ე. კ. ხარაძეს.

29 აპრილს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ე. ჩერქეზიამ მიიღო ჰ. ვ. ჯაიავარდენე და მისი მეუღლე.

ამბ. ო. ე. ჩერქეზია ლანკელ სტუმარს ესაუბრა საქართველოს ისტორიის შესახებ, დიდ გარდაქმნებზე, რომლებიც რესპუბლიკის ცხოვრებაში მოხდა საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე, შეეხო საქართველოს ეკონომიკის მიღწევების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის დარგში.

მიღებას დაესწრნენ საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ე. ნ. გორგოლაძე, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო-საკონსულო განყოფილების უფროსი ნ. ბ. რუხაძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი ე. ა. სეხნიაშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოვალეობის შემსრულებელი ჯ. გ.ლომინაძე, შრი ლანკის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ნ. კანაკარატნე.

იმავე დღეს ჰ. ვ. ჯაიავარდენე მეუღლითურთ, აგრეთვე შრი ლანკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში თბილისიდან მოსკოვს გაემგზავრნენ.

* * *

თბილისიდან გამგზავრების წინ ჰ. ვ. ჯაიავარდენემ ინტერვიუ მისცა საქინფორმის კორესპონდენტს.

— სსრ კავშირში გამომგზავრების წინ, — თქვა მან, — შრი ლანკის პრეზიდენტმა მირჩია ჩამოვსულიყავი საქართველოში. აქ ნანახით აღტაცებული ვარ — არ შეიძლება შთაბეჭდილება არ მოახდინოს ბუნებამ, ძველი და მდიდარი ისტორიისა და კულტურის მქონე ხალხმა, ეკონომიკურ და სოციალურ დარგებში მოპოვებულმა კოლოსალურმა წარმატებებმა. ეს რესპუბლიკა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე რუსეთის იმპერიის განაპირა მხარე იყო, დღეს მაღალინდუსტრიული რესპუბლიკაა. საქართველოში მოქმედებს დაახლოებით 1500 მსხვილი საწარმო, რომლებიც უშვებენ ყველაფერს — თვითმფრინავები, წყალქვეშაფრთიანი კატარღები იქნება ეს თუ ფერადი ტელევიზორები და ქსოვილი. ჩვენ ვიცოდით, რომ ჩაის ფოთლის კრეფის მხრივ საქართველოს მეოთხე ადგილი უკავია მსოფლიოში ინდოეთის, შრი ლანკისა და ჩინეთის შემდეგ. მაგრამ ეს დარგი საქართველოში განვითარდა მხოლოდ საბჭოთა ხანაში, ოქტომბრის რევოლუციამდე ხომ ჩაის პლანტაციების ფართობი ხუთასიოდე ჰექტარს შეადგენდა, და ბევრ სპეციალისტს უპირსპირატეოდ მიაჩნდა საძრეველო მეჩაიეობის განვითარება. მაგრამ საბჭოთა ადამიანებმა დაამტკიცეს, რომ სხვა ჩაის მწარმოებელ ქვეყნებთან შედარებით უფრო ჩრდილოეთ განედებზეც, წარმატებით შეიძლება ჩაის ფოთლის მოყვანა. საქართველოში მოქმედებს მსოფლიოში ერთადერთი ჩაის მრეწველობის ინსტიტუტი და ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტი.

ჩვენ გაგვაცა მეცნიერებისა და განათლების განვითარებამ საქართველოში, — თქვა შემდეგ ჯაიავარდენემ, — საქართველოს მიერ განვლილი გზა, ჩემი აზრით, თვალსაჩინოდ მოწმობს, თუ რა წარმატებების მოპოვება შეუძლია ქვეყანას, რომელიც პრაქტიკულად წყვეტს ურთულეს ეროვნულ პრობლემებს.

მოხარული ვარ, რომ საქართველოს ამ შთამბეჭდავ მიღწევებს მალე გაეცნობიან ჩემი თანამემამულენი, მომდინარე წლის ოქტომბრის დამლევს ხომ ჩვენში გაიმართება სსრ კავშირის დღეები საქართველოს სს რესპუბლიკის მონაწილეობით, და მაშინ ჩვენი მოსახლეობის ფართო ფენები თავად დარწმუნდებიან საქართველოს მიღწევებში, გაეცნობიან მის კეთილ და მშვიდობისმოყვარე ადამიანებს.

ამ დღეებს, დარწმუნებული ვარ, უდიდესი მნიშვნელობა ექნება სსრ კავშირისა და შრი ლანკის მეგობრობისა და კეთილმეზობლობის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებაში. ეს დღეები ერთხელ კიდევ ცხადყოფს, ჩვენ ერთმანეთისადმი გამსჭვალული ვართ პატივისცემით, რომ ერთნაირია ჩვენი ორი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ასპექტები, რომელთა მიზანია მშვიდობის განმტკიცება, ეს დღეები დასახავს ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის სხვადასხვა დარგში თანამშრომლობის გფფართოების ახალ შესაძლებლობებს, ხელს შეუწყობს შრი ლანკისა და საბჭოთა კავშირის ხალხების ნდობისა და ურთიერთგაგების ზრდას. (საქინფორმი).

თეორიის საკითხები

მემკვიდრეობითობა

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს დიმიტრი ფილიპეს ძე კალანდაძეს 70 წელი შეუსრულდა. იგი მრავალი წლია ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევითს საქმიანობას ეწევა. მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვის სტუდენტი ახალგაზრდობისა და მეცნიერ მუშაკთა კადრების აღზრდის საქმეში. არის ჩვენი გაზეთის აქტიური თანამშრომელი. ქვემოთ მკითხველებს ვთავაზობთ მის თეორიულ სტატიას.

ამჟამად, სამყაროს რევოლუციური გარდაქმნების ეპოქაში, რომლის ძირითად ნიშანს კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლა წარმოადგენს, მემკვიდრეობითობის პრობლემას მეტად აქტიური მნიშვნელობა ენიჭება. ამ საკითხს მრავალი მხარე, ასპექტი აქვს: გნოსეოლოგიური, სოციოლოგიური, პრაქტიკულ-პოლიტიკური და სხვ. ჩვენ მხოლოდ მის ზოგიერთ მთავარ ნიშნს შევეხებით.

ჯერ კიდევ უძველესი დროის მოაზროვნეებმა იცოდნენ, რომ არაფრიდან რაიმე არ შეიქმნება, ხოლო რაიმე არაფრად არ იქცევა. მაგრამ ამ დებულებამ მეცნიერული დასაბუთება მხოლოდ მარქსისტულ ფილოსოფიაში მოიპოვა. დიალექტიკური მატერიალიზმის თანახმად სამყაროს ყოველგვარ საგანთა და მოვლენათა სუბსტანციას მატერია წარმოადგენს. თვითონ მატერია უფიმოვია, იგი არ წარმოშობილა და არც მოისპობა. წარმოშობა და მოსპობა, ამ სიტყვის არაამსოლუტური აზრით, ეხება მხოლოდ მატერიის ფორმებს, რომლებიც მრავალმხრივი სისტემების, ცალკეული საგნებისა და მოვლ

3 მაისი

ულტიმატუმი

ფაქტები მოვლენები საკლესიო იუწყება

მუშაობისა და პროგრესისათვის

ბავანა. ბავანის რევოლუციის მოედანზე გიგანტური ხალხიერ-მასიური დემონსტრაციის კოლონებში ჩაიარა მილიონამდე კუბელმა მშრომელმა ლოზუნგებით „არ გვსურს ომი“, „გვსურს მშვიდობა და პროგრესი!“ სადღესასწაულო სვლა ტრადიციისამებრ გახსნეს კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ფიდელ კასტრომ, პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელებმა, მოწინავე მუშებმა. ტრიბუნებზე იყო დაახლოებით 50 საზღვარგარეთელი დელეგაცია.

ჰანანგუა. რუბენ დარიოს ხალხელობის სახალხო თეატრში გაიმართა მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღისადმი 1 მაისისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება. კრებაში მონაწილეობდნენ ეროვნული განთავისუფლების სანდინისტური ფრონტის ეროვნული ხელმძღვანელობა, მთავრობის წევრები, ნიკარაგუელ მშრომელთა წარმომადგენლები. კრებაზე გამოსულმა ორატორებმა გადაჭრით დაგმეს ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიული ხრიკები სანდინისტური რევოლუციის წინააღმდეგ.

ჩვენს ქვეყანაში ოთხი წლის წინათ დაწყებული რევოლუციური პროცესის მიზანია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის ლიკვიდაცია და ახალი საშრომელიანი საზოგადოების აშენება, განაცხადა ნიკარაგუის ერთიანი პროფკავშირული საკოორდინაციო კომიტეტის ხელმძღვანელობის წევრმა კარლოს ალგადომ.

მსოფლიოს მშრომელებმა იზეიმეს პირველმაისობა

ამ მშფოთვარე დღეებში, ხაზგასმით აღნიშნა მან, როცა სომოსელთა ბანდები ვაშინგტონის მითითებით აფართოებენ აგრესიას ჩვენს წინააღმდეგ, ყველა ნიკარაგუელი პატრიოტის ვალია განამტკიცოს თავდაცვა და წარმოება.

ლა-პასი. ზეიმით აღნიშნა ბოლივიელმა ხალხმა მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე. დედაქალაქისა და ქვეყნის სხვა ქალაქებში გაიმართა მასობრივი მიტინგები და მანიფესტაციები, რომლებშიც ასიათასობით მუშა, გლები, საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელი მონაწილეობდა.

მრავალათასიანი დემონსტრაცია გაიმართა ბოლივიის დედაქალაქ ლა-პასში. დემონსტრაციის მონაწილეებს მოჰქონდათ პლაკატები და ტრანსპარანტები, რომლებიც მოუწოდ ებ დ ნ ე ნ მშრომელებს გააფართოონ ბრძოლა ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმისა და საერთაშორისო რეაქციის ხრიკების წინააღმდეგ.

ბუენოს-აირესი. 50 ათასზე მეტი კაცი მონაწილეობდა ურუგვაის დედაქალაქში გამართულ საპირველმაისო მანიფესტაციაში. ურუგვაის ხელისუფალნი პირველად უკანასკნელი ათი წლის მანძილზე იძულებული გახდნენ დაერთოთ მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღის ოფიციალურ დღესასწაულობის ნება.

მანიფესტაცია მოაწყო „მშრომელთა პროფკავშირთაშორისმა პლენუმმა“, რომელიც ქვეყნის 47 მუშათა ორგანიზაციას აერთიანებს. მანიფესტაციაში მონაწილეობდნენ ურუგვაის პროგრესული საზოგადოებრიობის ყველა ფენის წარმომადგენლები. მანიფესტანტებმა მოითხოვეს პოლიტიკური პატიმრების განთავისუფლება, სამოქალაქო უფლებებისა და დემოკრატიული თავისუფლებების აღდგენა, ხელფასის გადიდება.

ოტავა. „მოგვეცით სამუშაო და არა ბომბები!“ — ასეთი ლოზუნგით გაიმართა კანადის დედაქალაქში მშრომელთა ხასობრივი ხაპირველმაისო მანიფესტაცია. „მშვიდობისა და შრომის“ საზოგადებრივი ორგანიზაციების კოალიციის მოწოდებით დემონსტრაციის მონაწილეებმ ა თავი მოიყარეს ქალაქის ცენტრში, რათა გამოეხატათ პროტესტი გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ, რომელსაც თეთრი სახლი აძლიერებს, რეიგანის ადმინისტრაციის უგუნურ რაკეტულ-ბირთვულ გეგმებში კანადის მონაწილეობის წინააღმდეგ.

● ნიკარაგუა

ახალი აგრესია

მანაგუა. ჰონდურასის მხედრიონმა „კონტრრევოლუციონერთა მრავალრიცხოვან კონტინგენტთან ერთად დაიწყო მახირებული ინტერვენცია ნიკარაგუის წინააღმდეგ. როგორც რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო იუწყება, 30 აპრილს ჰონდურასის არმიის ნაწილები და 1200-მდე სომოსელი არამზადა შეიჭრა ნიკარაგუის ნუევა-სეგოვიის დეპარტამენტში. აგრესორს ზურგიდან მხარს უჭერენ ჰონდურასის ჯარები და მის ტერიტორიაზე მყოფი კიდევ 1000 კონტრრევოლუციონერი. ჰონდურასის მძიმე შორსმსროელი არტილ ე რ ი ა ცეცხლს უშენს სანდინისტური სახალხო არმიის პოზიციებს.

სანდინისტური სახალხო არმიის მებრძოლები, ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში, გმირულად უმკლავდებიან ინტერვენტთა ჯარებს.

● ფოტოფაქტი

● იაპონია

ანტიხალხური კურსის წინააღმდეგ

ტოკიო. მთავრობის ანტიხალხური პოლიტიკის წინააღმდეგ იაპონელთა ბრძოლის ფარგლებში დედაქალაქის მეიძის პარკში გაიმართა მუშა-მოსამსახურეთა 20-ათასიანი მიტინგი, რომელიც მოაწყო მშრომელთა ერთიანი საგაზაფხულო ბრძოლის საბჭომ. მონაწილეთა წინაშე გამოსვლისას იაპონიის პროფკავშირთა გენერალური საბჭოს თავმჯდომარემ გ. მაკიედამ აღნიშნა, რომ კონსერვატორებმა მონოპოლიებთან ერთად გაუგონარი შეტევა წამოიწყეს მუშა-მოსამსახურეთა უფლებებისა და ინტერესების წინააღმდეგ. მმართველი წრეების მიერ განხორციელებული ხელფასის გაყინვისა და მოსახლეობის გადასახადების გადიდების კურსი, განაცხადა მან, აღრმავებს ქვეყნის ეკონომიკის დეკრესიას და მძიმე ტვირთად აწვება მილიონობით იაპონელს. მ. მაკიედამ მოუწოდა მუშათა კლასს შეაკავშიროს რიგები და საკადრისი პასუხი გასცეს ხელისუფალთა მიერ იაპონელი ხალხის ძირეული ინტერესების ხელყოფას.

* * *

სურათზე: მანიფესტაციის მონაწილენი.
საკადესის ფოტო.

● იორდანია

მეფე ჰუსეინის განცხადება

ბეირუთი. იორდანიის მეფე ჰუსეინმა გააკრიტიკა ამერიკის შეერთებული შტატები იმის გამო, რომ უარი თქვა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციასთან გამართოს დიალოგი და შეასრულოს არაბული ხახელმწიფოებისათვის, უწინარეს ყოვლისა, ლიბანისათვის მიცემული ვალდებულებანი მის მიერ ოკუპირებული ლიბანის ტერიტორიებიდან ისრაელის ჯარების გაყვანის თაობაზე.

ბეირუთის გაზეთ „ან-ნაჰარ-ალეთის“ მიცემულ ინტერვიუში მან აგრეთვე აღნიშნა, რომ იორდანია არ აპირებს გამოვიდეს პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის სახელით ან შეცვალოს იგი მოლაპარაკებაზე, რომლებიც ახლო აღმოსავლეთის მოწესრიგებას ეხება. პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციაჯ განაცხადა ჰუსეინმა, პალესტინის არაბი ხალხის ერთადერთი კანონიერი წარმომადგენელია და არ ვაპირებთ ჩვენი პოზიციის შეცვლას როგორც მის მიმართ, ისე მთელი პალესტინელი ხალხის მიმართაც.

მეფე ჰუსეინმა საბჭოთა კავშირთან იორდანიის ურთიერთობა დაახასიათა როგორც მეგობრული დიალოგი ჩვენს ქვეყნებს შორის, რომელიც, ხაზგასმით აღნიშნა მან, ყოველთვის მაქსიმალური გულახდილობით, გულწრფელობით, სიცხადითა და კონსტრუქციულობით გამოირჩეოდა. ჰუსეინმა განაცხადა, რომ სსრ კავშირის მონაწილეობა ახლო აღმოსავლეთში არსებული ვითარების მშვიდობიან მოწესრიგებასთან დაკავშირებულ ყველა პროცესში აუცილებელია.

● მოზამბიკი

ფერეიროსი მეიკუერს

მაპუტუ. რახისტული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სამხედრო დაზვერვის ოფიცერმა პ. ბ. შუმანმა, რომელიც მოზამბიკში უშიშროების ძალებმა დაპატიმრეს, აღიარა, რომ მას დავალებული ჰქონდა პრეზიდენტ ს. მაშელის მკვლელობაში მონაწილეობა. ეს აქტი უნდა განხორციელებინათ ფრელიმოს პარტიის ბოლო ყრილობაზე, იუწყება მოზამბიკის საინფორმაციო სააგენტო. სხვა დავალებები, რომლებითაც მას მოზამბიკში აგზავნიდნენ, ითვალისწინებდა აგრეთვე ინფორმაციის შეგროვებას კაბორა-ბასის ჰიდროკომპლექსის და მაპუტუს ცენტრალური ფოსტის შესახებ.

ვიზიტი პეკინში

პეკინი. აქ ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა საფრანგეთის პრეზიდენტი ფ. მიტერანი. აქ იგი მოლაპარაკებას გამართავს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერთან ჯაო ძიანთან, შეხვდება ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივან ხუ იაობანს და ჩინეთის კომუნისტური პარტიის მრჩეველთა ცენტრალური კომისიის თავმჯდომარეს დენ სიაოპინს.

ადამიანის წუხილს და საფიქვარს აქ საქმიანად ეპასუხებიან

ვისაც ერთხელ მაინც ჰქონია შემთხვევა საჩივრით მიემართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოსათვის, დაგვმოწმება, რომ უკმაყოფილო არ დარჩებოდა. მედგამთ თუ არა ფეხს უმაღლესი სასამართლოს შენობაში, მართლმსაჯულებისადმი მოწიწებისა და პატივისცემის გრძნობით განიმსჭვალებით. ამ გრძნობას ბადებს არა მარტო ეს დიდებული,ნათელი და მყუდრო დარბაზები, არამედ დამხვდურთა საგანგებო მასპინძლობაც, ის წესრიგი და აკურატულობა, გარშემო რომ სუფევს.

აქ მიღებაზე მოსულ მოქალაქეს ისეთი გარემო-პირობები აქვს შექმნილი, რომ შეუძლია აუღელვებლად, მშვიდად და დალგებით აუწყოს და მოახსენოს რესპუბლიკის მართლმსაჯულების უმაღლეს ორგანოს თავისი საჩივარი და სათქმელი, საწუხარი და სატკივარი.

მისაღების ფოიეში შესვლისთანავე თვალში გეცემათ „საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოში საჩივრების შეტანისა და მოქალაქეთა მიღების წესები“, რომელშიც ნათლად და გარკვევით არის განმარტებული განიხილვისა და გადაწყვეტილების საკასაციო და საზედამხედველო წესით გასაჩივრების ყველა დეტალი, აქვე მითითებულია საკითხები, რომელთა გამო მოქალაქეებმა არ უნდა მიმართონ უმაღლეს სასამართლოს.

თუ თქვენ ამ „წესების“ აქვე, საბილდბელოდ გადაკითხვა არ დაგაკმაყოფილებთ, შეგიძლიათ თან წაიღოთ ფურცელი, რომელზეც სტამბურად არის გადაბეჭდილი თქვენთვის საჭირო ეს ცნობები და განმარტებები.

მომსახურების ეს ფორმა თავისთავადაც კარგი და სასარგებლოა, მაგრამ იგი ფარატინა ქაღალდად იქცეოდა, ის მცოდნე და გულისხმიერი ადამიანები რომ არა, რომლებიც ამ განწესის შესასრულებლად იღვწიან.

ახლა აქ მათი როლისა და ღვაწლის აღწერა კი არა, მარტო თანამდებობისა და გვარ-სახელის ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანდა, რადგან ამ საქმეში ერთობლივადაა ჩაბმული უმაღლესი სასამართლოს მთელი აპარატი — კანცელარიის რიგითი მუშაკიდან თვით თავმჯდომარემდე.

უმაღლეს სასამართლოში მოქალაქეთა მიღების მაღალ კულტურაზე რომ ვლაპარაკობთ, ისეთ წვრილმანსაც კი ვერ ავუვლით გვერდს, როგორიც ტექნიკური მომსახურეაა. აქ მიღებაზე მოსულ მოქალაქეს მისთვის საჭირო განმარტებები შეუძლია მიიღოს სპეციალური ავტომატური საცნობარო აპარატის მეშვეობითაც. დააჭერთ ღილაკს თითს და უმალვე მიიღებთ პასუხს ყველა იმ კითხვაზე, რომელიც უმაღლეს სასამართლოში საჩივრის შეტანასთან დაკავშირებით დაგებადებათ. ცალკეა ოთახი მომჩივნისათვის და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატისათვის, სადაც მათ შეუძლიათ მშვიდად დასხდნენ მაგიდასთან და იმუშაონ. თუ საჭიროა, იქვე გამოითხოვენ საქმეს კანცელარიიდან. ამისათვის საკმარისია ტელეფონით დარეკონ და დაუყოვნებლივ ჩამოგზავნებათ ლიფტით. აქვე, მისაღებშივეა ფოსტა, ტელეგრაფი, ტელეფონი და ავტომატი საქალაქო და საქალაქთაშორისო ლაპარაკისათვის.

და ყველაფერი ეს ერთ მიზანს ემსახურება: რაც შეიძლება ორგანიზებულად და ოპერატიულად განიხილონ საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოში მიღებაზე მოსულ მოქალაქეთა საჩივრები.

მოქალაქეებს, რომლებიც ასაჩივრებენ საკასაციო კოლეგიის მიერ გამოტანილ განჩინებებს ან ზედამხედველობის წესით განხილულ საქმეებს, პირველად იღებს და ესაუბრება შემადგენლობის თავმჯდომარე. თუ მისი განმარტებები საკმარისი არ აღმოჩნდა და მოქალაქე უკმაყოფილო რჩება, მას აგზავნიან უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ერთ-ერთ მოადგილესთან, იქნის მიხედვით, სისხლის სამართლის საქმეს შეეხება საჩივარი თუ სამოქალაქოს.

თუ მოქალაქე კვლავ უკმაყოფილოა, ამის შემდეგ იგი უკვე თავმჯდომარესთან შედის.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო მოქალაქეთა მიღებისას საგანგებო და გადამწყვეტ მნიშვნელობას, საჩივრის დამუშავების სიღრმესა და გაცემული პასუხის დამაჯერებლობას ანიჭებს.

მისაღების მორიგე მოქალაქეს რომ მიიღებს და საჩივრის განხილვას შეუდგება, ჯერ გამოკვეთს და დანომრავს საჩივრის მოტივებს, დაადგენს, აღრეც ხომ არ ჰქონია ამ მოქალაქეს შეტანილი საჩივარი საზედამხედველო წესით და რამდენად ზუსტი, ამომწურავი და დამაჯერებელი პასუხი აქვს გაცემული საჩივარში დასმულ ყველა საკითხზე, რამ გამოიწვია ხელახალი გასაჩივრება და რა ახალი მოტივებია წამოყენებული ახალ საჩივარში — უნდა დააზუსტოს, კონკრეტულად წინა საჩივრის რამდენ მოტივზეა გაცემული პასუხი კანონსა და საქმის მასალებზე დაყრდნობით და რამდენ მოტივზე არ არის სრულყოფილი და ამომწურავი.

მისაღების მორიგე თავის მოვალეობად თვლის დაარწმუნოს მოქალაქე იმ პასუხის სისწორეში, რომელსაც იგი კანონიერად მიიჩნევს. ამ მიზნით იგი დიდხანს მოთმინებით მუშაობს მომჩივანთან, იყენებს მთელ თავის ცოდნასა და გამოცდილებას. და თუ მაინც საჩივრით მოსული მოქალაქე არ დასჯერდება მის პასუხს, როგორც მოგახსენეთ, იგი შეჰყავთ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის იმ მოადგილესთან, რომლის ხელმოწერითაც გაეგზავნა მომჩივანს პასუხი.

თავმჯდომარის მოადგილესთან მოქალაქის მიღების დროს საჩივრის გარშემო დაწერილებით მოახსენებს შემადგენლობის თავმჯდომარე, სასამართლოს წევრი ან კონსულტანტი, იგი მოვალეა კარგად იცოდეს და მოადგილეს მოახსენოს რამდენ მოტივზე აქვს გაცემული მომჩივანს ამომწურავი პასუხი და რამდენზე არა. თუ პასუხი არასრულყოფილი და ნაკლოვანია, გაარკვიოს ვისი და რა მიზეზით, საჩივრის რომელ მოტივზე გაეცემოდა პასუხის სიუსწორეში დარწმუნდა თვით მოქალაქე და რომელი მოტივების გამო მიიჩნევს იგი საჭიროდ მომჩივანთან დამატებითს მუშაობას.

ბოლოს თავის მოსაზრებებსაც გაუზიარებს თავმჯდომარის მოადგილეს. აუხსნის, რამ გამოიწვია მოქალაქის უმაღლეს სასამართლოში საჩივრით მოსვლა, რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ არ მოუხდეს მას განმეორებითი საჩივრებით უმაღლეს სასამართლოში სიარული.

თუ მოქალაქე თავმჯდომარის მოადგილესთან შეხვედრის შემდეგაც უკმაყოფილოა და თავმჯდომარესთან შეხვედრას მოითხოვს, მის თხოვნას აკმაყოფილებენ და მას საშუალება ეძლევა თვით თავმჯდომარეს მოახსენოს, რით არის გულნაკლული, კერძოდ, მისი საჩივრის რომელ მოტივზე გაეცემულ პასუხს არ ეთანხმება იგი. თავმჯდომარესთან მიღების დროს, თუ საჭიროა, მიიწვევენ იმ მოადგილეს, რომელთანაც წინათ ყოფილა მოქალაქე მიღებაზე ან მისი ხელმოწერილი პასუხი აქვს მიღებული.

ნურც ისე წარმოვიდგენთ, რომ თავმჯდომარე და მისი მოადგილეები ძირითადად ყოველთვის შემადგენლობის თავმჯდომარის, უმაღლესი სასამართლოს იმ წევრის ან კონსულტანტის მოხსენებასა და მოსაზრებებს ემყარებოდნენ, რომელმაც საქმე შეისწავლა. არა, თუ საჭირო გახდა, თავმჯდომარის მოადგილე და თვით თავმჯდომარე გულდასმით ეცნობიან საქმეს, საქმეში არსებულ დოკუმენტებს.

მოქალაქეთა მიღების ეს წესი და საჩივრებისადმი დამოკიდებულება საქართველოს უმაღლეს სასამართლოს საშუალებას აძლევს საჩივარზე მის მიერ გაცემული ყოველი პასუხი იყოს არა მარტო ობიექტური და კანონიერი, არამედ სარწმუნო და დამაჯერებელიც. ეს მიიღწევა იმით, რომ პასუხი არ იფარგლება მარტოოდენ კანონის ნორმაზე მითითებით, არამედ გადმოსცემს ნორმის შინაარსსაც, ინდივიდუალურად, დიფერენცირებულად უდგება საჩივრის ყოველ ავტორს. შეძლებისდაგვარად ითვალისწინებს მის პიროვნებას, საერთო ომმზადების დონეს, იურიდიული საკითხების ცოდნას და სხვ.

უმაღლეს სასამართლოში მოქალაქეთა მიღება ხდება ყოველდღიურად დილის 8 საათიდან სალამოს 8 საათამდე, ზემოთ ნაჩვენები წესით და რიგით (დააკვირდით: მიღება სამუშაო დღის დაწყებამდე ერთი საათით ადრე იწყება და სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ კიდევ ორ საათს გრძელდება. ეს იმის გათვალისწინებით და იმ მიზნით, რომ საჩივრით მოსულ მოქალაქეს სამუშაო არ გაუცდეს).

მოქალაქეთა მიღებისათვის საგანგებო და განსაკუთრებულია ორმაბათი. ამ დღეს მისაღებ განყოფილებაშია თითქმის მთელი უმაღლესი სასამართლო. თვით თავმჯდომარე ა. კარანაძე, მისი მოადგილეები ვ. ედიშერაშვილი, დ. ლორია, გ. დეედარიანი, მისაღების გამგე ა. გეგენავა, შემადგენლობათა თავმჯდომარეები, იმ დღეს მორიგედ გამწესებული უმაღლესი სასამართლოს წევრები და კონსულტანტები, და ვიდრე მოქალაქე საჩივარზე საბოლოო პასუხს მიიღებდეს, აქ ამ დღეს მის მოსასმენად მზად არის თითოეული მათგანი.

მიღების ასეთი წესი მეტად ხელსაყრელი და მოსახერხებელია მომჩივნისათვის. ხელსაყრელია არა მარტო ოპერატიულობის და დროის დაზოგვის თვალსაზრისით, არამედ იმითაც, რომ ასეთ ვითარებაში, ერთობლივად და უფრო დამაჯერებლად, ადგილზევე წყდება საჩივრიმი აღძრული საკითხები და მომჩივანიც კმაყოფილი რჩება.

საქმეთა საკასაციო წესით განხილვის დღეს და განხილვიდან სამი დღის ვადაში, ვიდრე საქმე ჯერ არ გაგზავნილა სახალხო სასამართლოში, მოქალაქეებს, რომლებიც გამოდიან სასამართლოში როგორც მხარეები, აგრეთვე მათი ინტერესების დამცველ ადვოკატებს, სურვილის მიხედვით უფლება ეძლევათ რიგგარეშე, დაუყოვნებლივ მივიდნენ მიღებაზე კოლეგიის თავმჯდომარესთან, უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილესთან და თვით თავმჯდომარესთანაც.

მოქალაქეთა მიღების დამთავრების შემდეგ ყოველდღიურად მისაღების გამგე ადგენს ცნობას გაწერეული მუშაობის შესახებ, რომელშიც პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით ჩამოყალიბებულია კონკრეტული მოსაზრებანი, თუ რა ღონისძიებანია საჭირო იმისათვის, რომ უფრო სარწმუნო და დამაჯერებელი, ნათელი და გარკვეული იყოს საჩივრებზე გაცემული ყოველი პასუხი, ისე, რომ ზედმეტად არ შეწუხდეს მოქალაქე, განმეორებით არ დასჭირდეს საჩივრების წერა.

მისაღების გამგე თ ვ ე ში ერთხელ ჯამებს და განაზოგადებს ამ ცნობებსა და მოსაზრებებს და მოხსენების სახით წარუდგენს თავმჯდომარის მოადგილესთან გამართულ თათბირს. ხოლო კვარტალში ერთხელ ამ საკითხზე მოხსენება წარედგინება უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმს.

საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოში მოქალაქეთა მიღების ასეთი წესრიგისა და ორგანიზაციის შედეგად ბოლო დროს ერთობ შემცირდა საქმის საბოლოო გადაწყვეტის გაჭიანურების ფაქტები, ბიუროკრატიზმი და ფორმალიზმი, შემცირდა სახელმწიფო თანხების უყაირათოდ ხარჯვა, იზოგება დრო.

უდავოა, ეს უმაღლეს სასამართლოში დამკვიდრებული დისციპლინისა და საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობის ერთი ნათელი გამოხატულებაა. მაგრამ ეს მხოლოდ საქმის ერთი მხარეა, მთავარი მაინც ის არის, საბოლოოდ კმაყოფილი რჩება თუ არა მოქალაქე მიღებული პასუხით.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ აკაკი კარანაძემ გვითხრა:

— მთელი ჩვენი მეცადინეობა, ყველა ჩვენი ღონისძიება სწორედ იმ მიზანს ემსახურება, რომ მოქალაქე გულშეჯერებული დარჩეს ჩვენი პასუხით, მაგრამ ყოველთვის კმაყოფილი რომ არ არის, ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ მეორედ, მესამედ მოდის საჩივრით უმაღლეს სასამართლოში, გვესაჩივრებს არა მარტო საკასაციო განჩინებას, არამედ ზოგჯერ პრეზიდიუმის დადგენილებასაც. საჩივრები კი საკმაოდ ბევრია. თუმცა საჩივრების სიმრავლე ყოველთვის არ ნიშნავს, რომ თითქოს ჩვენი განჩინებები, დადგენილებები თუ პასუხები დაუსაბუთებელი იყოს ან არ ეყრდნობოდეს კანონს და საქმის მასალებს. მაგრამ, ეტყობა, ამ იურიდიულ დოკუმენტებს ზოგჯერ აკლია დამაჯერებლობა, სიხალვე და გარკვეულობა, ზოგჯერ გულსატკენი შეცდომებიც მოგვდის რაც უმაღლესი სასამართლოს წევრისათვის მიუტევებელია. როგორც ყოველს საქმეში, მართლმსაჯულებაშიც აბსოლუტურად უშეცდომოდ მუშაობა ძნელი მისაღწევია, რადგან რა მარტივიც არ უნდა ჩანდეს განსახილველი საქმე, სისხლის სამართლისა იქნება თუ სამოქალაქო, ჩვენს რთულ დროში ერთობ ძნელია ადამიანურ ურთიერთობათა გაუვალ ლაბირინთებში ჩაწვდომა, შეშმარიტების პოვნა და დადგენა. ეს მით უფრო ძნელი ხდება მაშინ, როცა წინასწარი გამოძიებისა და სასამართლოს სამსჯავრო გამოძიების მასალები ნაკლოვანი და არასრულფასოვანია. და მაინც ჩვენს საქმეში, კერძოდ ჩვენს დაწესებულებაში, სადაც ადამიანის ბედი, ზოგჯერ კი თვით სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი წყდება, შეცდომა შეუწყნარებელია. და თუ შეცდომა მაინც მოგვდის, ეს მეტად ძვირად გვიჯდება მართლმსაჯულების მსახურთა: ერთი უსამართლო განაჩენი და გადაწყვეტილება ერთბაშად ამბათილებს ათიათასობით სამართლიანს, იმიტომ რომ უსამართლობის ერთი შემთხვევაც ადამიანს სამართლიანობის რწმენას ულახავს, ხოლო ნამდვილი სამართალი წმენდს და ზნეობრივად აღამაღლებს ადამიანს. ყოველი სამართლიანი განაჩენი და გადაწყვეტილება, თუნდაც მძიმე შედეგს ითვალისწინებდეს იგი, ადამიანში პატიოსნისა ცხოვრების მოთხოვნილებას აღძრავს, უსამართლოდ მოპყრობა კი პირიქით, დანაშაულისაკენ უბიძგებს. ამიტომ ვზრუნავთ და ვცდილობთ ასე თავგამოდებით, რომ შეცდომები არ გვქონდეს. ყოფილა შემთხვევა ერთ საქმეში დაშვებული ერთი შეცდომისათვის პარტიული კრება მიუძღვნიათ.

ჩვენთან, უმაღლეს სასამართლოში მიღებაზე საჩივრით ის მოქალაქენი მოდიან, რომლებსაც სასამართლოს განაჩენი და გადაწყვეტილება უსამართლოდ მიაჩნიათ. ჩვენი ვალია აღვადგინოთ სამართლიანობა ან დავარწმუნოთ მოქალაქე, რომ მისი საჩივარი უსაფუძვლოა, ეს ადგილი ამოცანა არ არის, ეს ძნელი უფრო იმიტომ არის, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმეს არსებითად კი არ განვიხილავთ, არამედ იძულებენ ვართ საქმეში არსებული მასალებით — ქაღალდებით, დოკუმენტებით ვიმსჯელოთ.

ა. კარანაძე ლაპარაკობს სიძნელეებზეც და იმ ხარვეზებსა და ნაკლოვანებებზეც, რომლებიც საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს ჯერ კიდევ აქვს საჩივრით მოსულ მოქალაქეთა მიღების საქმეში, მაგრამ ეს ხარვეზები ამჯერად აქ მოსატანი არ არის, იმდენი კარგი, სანიმუშო და სამაგალითოა გაკეთებული ამ სფეროში.

რაღა თქმა უნდა, მოქალაქეთა კარგ მიღება-დახვედრას ისეთ დაწესებულებაში, როგორიც რესპუბლიკის მართლმსაჯულების უმაღლესი ორგანოა, დიდი მნიშვნელობა აქვს. ასეთი კარგი მოპყრობა აქ მოსულ ადამიანს იმთავითვე იმედითა და სამართლიანობის რწმენით აღავსებს. უმთავრესი მაინც ის არის, რა დონეზე გადაწყდება კანონ-სამართალი. მაგრამ ეს უკვე სხვა საკითხია, უფრო რთული და მტკივნეულიც. და იგი უფრო დიდი და პრინციპული საუბრის თემაა.

მ. მიქაძე.

რედაქციისაგან: ეს წერილი რეპორტაჟი არ არის და მარტოოდენ ჟურნალისტის უშუალო შთაბეჭდილებებს არ ემყარება, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მისაღები განყოფილების მუშაობაზე დაკვირვებით რომ შეიქმნა მას. წერილში ნაგულისხმევი და ასახულია ის ტენდენციები და გარემოებანიც, რომლებიც უმაღლესი სასამართლოსა და ჩვენი რედაქციის ურთიერთობაში ვლინდება. ეს ურთიერთობანი ძირითადად სწორედ მშრომელთა საჩივრებს უკავშირდება. რედაქციაში შემოსულ ბევრ საჩივარს, მისი შინაარსის კვალობაზე, უმაღლეს სასამართლოს ვუგზავნით შესამოწმებლად და ზომების მისაღებად, და ჩვენ მოწმენი ვართ თუ რა ოპერატიული, დასაბუთებული, ნათელი და შინაარსიანია მიღებული პასუხები, რომლებსაც რედაქცია და მოქალაქე იღებენ. ასეთი პასუხის შემდეგ ი შვიათად ყოფილა შემთხვევა მოქალაქეს იმავე საკითხზე მეორედ მოემართოს საჩივრით რედაქციისათვის. ამ მხრივ სასაუნდურო არც სხვა ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ გვაქვს რაიმე. ოღონდ ამჯერად უმაღლეს სასამართლოზეა საუბარი.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო დროულად და ოპერატიულად ეხმაურება არა მარტო რედაქციიდან მისი მისამართით გაგზავნილ მშრომელთა საჩივრებს, არამედ გაზეთში დაბეჭდილ ყველა მასალასაც, რომელიც მართლმსაჯულების საკითხებს შეეხება.

ᲖᲔᲘᲛᲐᲓ ᲥᲪᲔᲣᲚᲘ ᲠᲘᲢᲣᲐᲚᲔᲑᲘ

ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ სახელობის ხიდს რომ გადავალთ, მარჯვნივ — რიყის მოედანზე, იქ, სადაც ყოველწლიურად „თბილისქალაქობას“ ვდღესასწაულობთ, საქართველოს სხვადასხვა კუთხის ძველი ქართული ხალხური არქიტექტურული სტილით ნაგები სახლებია განლაგებული. როცა პირველ ორ მთგანს მივუახლოვდებით, ორ ლამაზ წარწერას შევამჩნევთ: „ერთგულება“ და „მზეობა“; შინაარსიცა და დანიშნულებაც ასევე ლამაზი და შესაფერისი, ორიგინალური აქვთ.

თბილისის სადღესასწაულო ცენტრის (დირექტორი — ელზა სვიმონიშვილი) ინიციატივითა და თაოსნობით ყოველ შაბათ-კვირას „მზეობაში“ ტარდება სადღესასწაულო რიტუალი „სახელდება“, ხოლო „ერთგულებაში“ — ოქროსა და ვერცხლის ქორწილის რიტუალი.

პირველად „მზეობა“ დავთვალიერეთ...

აქეთკენ უკვე მოემართება საზეიმოდ მორთული მანქანების კორტეჟი. მანქანებიდან გადმოდიან მშობლები ბავშვით, სახელმდებლები მშობლები (ბუდუები) და ახლობლები.

ამჯერად ამ სადღესასწაულო რიტუალს გაივლიან პატარები — ნინო ჯანტუერია, ირაკლი ტყეშელაშვილი, შოთა მაჭავარიანი და სხვები.

სტუმრებს იწვევენ სარიტუალო შენობაში. „სამზეოს“ ოთხი ოთახი აქვს: სარეგისტრაციო, ჩვილის ოთახი — „საემბაზო“, „ბავშვთა სამყაროს“ ფილიალ-მაღაზია და მცირე სასტუმრო. შენობის ცენტრში სარიტუალო დარბაზია.

სარიტუალო დარბაზის შემოსასვლელის თავზე არის წარწერა — „ბედნიერი იყავ შენ, ამ ქვეყნად მოსულო“. სასტუმრო და ჩვილის ოთახი „საემბაზო“ მორთულია ყვავილებით, იატაკს ამშვენებს ნოხი; რომ იტყვიან ირგლივ ყველაფერს „თვალი ჭამს და თვალი სვამს“.

სარეგისტრაციო ოთახში ხდება ახალშობილის მოქალაქედ ჩაწერა და სახელმდებელთა რეგისტრაცია. აღნიშნულ რიტუალს ატარებს იურიდიული პირი.

„საემბაზოში“ პედიატრი მშობლებს კონსულტაციას უწევს ბავშვის მოვლის შესახებ. კონსულტაციის დროს ნათესავები და ახლობლები სასტუმრო ოთახში იმყოფებიან.

კონსულტაციის დამთავრების შემდეგ რიტუალის წამყვანი სტუმრებსა და ახლობლებს სარიტუალო დარბაზში ეპატიჟება. დარბაზი ნათდება მზის დიდი ბადროთი. მომღერალ ბავშვთა გუნდი ირგვლივ ყვავილებს აფენს.

მმაჩის ბიუროს წარმომადგენელი ახალშობილის მოქალაქედ ჩაწერას საზეიმოდ აცხადებს. რიტუალის წამყვანი ბავშვის სახელდებას ულოცავს მშობლებს, ბუდუებს, ახლობლებს და ნათესავებს.

მილოცვების შემდეგ გაისმის „იავნანა“.

რიტუალის წამყვანი შეკრებილთ გასასვლელისაკენ იწვევს.

„სამზეოდან“ მეორე სარიტუალო სახლში გადავინაცვლეთ.

„ერთგულება“ გასული წლის 25 დეკემბერს გაიხსნა. აქ, იმ საოჯახო წყვილებისათვის, რომელთაც ერთად ცხოვრების 50 წელი განვლეს, ტარდება ოქროს, ხოლო იმათთვის, ვინც 25 წელი განვლო — ვერცხლის საქორწილო რიტუალები.

სწორედ იმ დღეს მეასე საოჯახო წყვილი — ინჟინერი შალვა დაუშვილი და მისი მეუღლე, მასწავლებელი ლამარა ჯოხაძე საზეიმოდ აღნიშნავდა თავიანთი ქორწინების საიუბილეო თარიღს — შეუღლების 25 წლისთავს.

სარიტუალო სახლის ჭიშკართან მათ მიეგება შემხვედრი გოგონა, ჩაიყვანა ეზოში და ზარების საზეიმო რეკვის ფონზე კიბის საფეხურებზე აუძღვა. სარიტუალო დარბაზის შემოსასვლელში ისმის მენდელსონის მარში. რიტუალის გამრიგეს მათი შვილები, შვილიშვილები, ახლობელ-ნათესავები, მეგობრები შეჰყავს დარბაზში; მეუღლეებს მიუჩენს შათთვის განკუთვნილ სავარძლებს და ულოცავს ამ საზეიმო თარიღს. რეგისტრაციის წიგნში ცოლ-ქმარი ხელს აწერს. შემდეგ მათ ეძღვნება სპეციალური მოწმობები და სახსოვარი; მიარომევენ ყვავილებს და საჩუქრად გადასცემენ მაღაზია „საბედნიეროს“ ტალონებს. ისმის ომახიანი „ჰრაველაშვილიერი“, იღებენ სამახსოვრო სურათებს.

ოფიციალური საზეიმო რიტუალის შემდგომ სტუმრები ჩადიან ქვემოთ — ეროვნულ, მარანის სტილით მოწყობილ დარბაზში. აქ შემოუსხდებიან შამპანიურითა და ტკბილეულით გაწყობილ, სუფრას.

ქმაყოფილი და მადლიერი მეუღლენი დიდ მადლობას უხდიან და გულთბილად ემშვიდობებიან რიტუალის მომწყოთ.

ინდივიდუალური საზეიმო რიტუალების გარდა აქ ეწყობა ერთობლივი ღონისძიებანი საწარმო-დაწესებულებებთან ერთად. ამ სამოიდე კვირის წინათ — 9 აპრილს თბილისის საავიაციო ქარხნის შრომითი კოლექტივის ცხრა საოჯახო წყვილისა გაიარა ეს სადღესასწაულო რიტუალი.

თბილისის სადღესასწაულო ცენტრის თაოსნობა მხოლოდ ამ ორი რიტუალით არ ამოწურება. მათთვე. ინიციატივით ქორწინების სახლში იმართება ახალშეუღლებული წყვილის ხელმოწერაც. აქაც მუსიკისა და ზარების რეკვის ფონზე გაივლიან ახალგაზრდა ცოლ-ქმარნი და მათი მაყრიონი ხელმოწერის ცერემონიალს. მილოცვები, ყვავილების მირთმევა...

ზეიმი გრძელდება...

სიძე-პატარძალი, მათი ახლობლები ავტომანქანებით ხეივნისაკენ მიეშურებიან, სადაც ახალგაზრდა ცოლ-ქმარი რგავს ნერგს, რაც სიმბოლურად მიანიშნებს ახალი სიცოცხლის დასაწყისს, რამეთუ შეიქმნება კიდევ ერთი ქართული ოჯახი.

მექორწილენი მიემართებიან მცხეთისაკენ. ქალაქ-მუზეუმის „ბედნიერების დარბაზში“ „ერისკაცი“ დალოცავს მათ. შემდეგ ახალშეუღლებულნი დაათვალიერებენ ქართულ ისტორიულ ძეგლებს — არმაზს, ჯვარს, სვეტიცხოველს...

ბრუნდებიან თბილისში, ინახულებენ კომკავშირის ხეივანს. აქაც მილოცვები, ყვავილები...

შემდეგ — საქორწილო სუფრა.

ამ სამ ლამაზ და მოხდენილ, ღრმაშინაარსიან რიტუალს, რომლებიც ნათლად მიანიშნებენ ადამიანის ცხოვრებაში ერთობ გამორჩეულ, ღირსშესანიშნავ თარიღებს, საფუძველი მტკიცედ ჩაეყარა და უკვე სახალხო ტრადიციად მკვიდრდება.

„აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“, — ეს ცნობილი შეგონება სწორადაც მიესადაგება ამ, მართლაცდა, ზეიმად ქცეულ სადღესასწაულო რიტუალებს.

ლ. ჯელიძე.

სურათებზე: ჩვილის ოთახში — „ხაემბაზოში“ პედიატრი რუსუდან ლასურაშვილი ბავშვის ჯანმრთელობის თაობაზე კონსულტაციას უწევს პატარა შოთა მაჭავარიანის დედას მარინე ხანჯაშვილს; რიტუალის მამასახლისები ყვავილებს უძღვნიან რუსთავის მეორე საშუალო სკოლის მასწავლებელს ლამარა ჯოხაძეს და მის მეუღლეს — ამიერკავკასიის „მეტალურგმშენის“ № 1 ტრესტის საწარმოო-ტექნოლოგიური კომპლექტაციის ხამმართველოს უფროსს შალვა დაუშვილს და ულოცავენ მათ ქორწინების 25 წლისთავს.

პ. იუხანოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

„ᲕᲝᲪᲜᲔᲑᲝᲕ ᲕᲘᲛᲔᲓᲠᲝ...“

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲡᲝᲢᲙᲘᲚᲐᲕᲐ სსრ კავშირის დიდი თეატრის სოლისტი მოსკოვში ქართველ მსახიობთა გასტროლების შემდეგ გახდა. მაინ იგი სპექტაკლ „აბესალომ და ეთერში“ მღეროდა.

— თავდაპირველად, — იხსენებს იმ დროს მსახიობი, — ძალზე გამიჭირდა. დიდ თეატრში რომ მოვედი, მწირი იყო ჩემი შემოქმედებითი მარაგი. და მხოლოდ შემდგომში გაჩნდა ჩემს რეპერტუარში პარტიები ოპერებიდან „ტრუბადური“, „იოლანტა“, „სადკო“, „მთვარის მოტაცება“, „ტოსკა“, „ოტელო“. თუ შემოქმედებითს გეგმებზე ვილაპარაკებთ, ახლა ჩემთვის ხელახლა აღმოვაჩინე მ. მუსორგსკი. იტალიაში ვაპირებთ დ. შოსტაკოვიჩის რედაქციით, რომელიც, ჩემი აზრით, ყველაზე მეტად უახლოვდება ავტორისას, ვიმღერო ხოვანსკი. გეგმაში მაქვს აგრეთვე თვითმარქვია „ბორის გოდუნოვიდან“. ჯერჯერობით აუხდენელი ნატვრაა ლენსკი. მინდა სცენაზე შევქმნა პოეტის სახე, რომელიც თვით პუშკინისას უახლოვდება.

ოპერა ძლიერი ვნებების ხელოვნებად მიმაჩნია. თვითონ უნდა იწვოდე, რათა დარბაზში მაყურებელმა სითბო იგრძნოს. ერთხელ, როგორღაც, მითხრეს: თქვენ ისე მღერით, თითქოს ეს თქვენი უჭნასკნელი გამოსვლა იყოსო. მომავალშიც ასე ვაპირებ სიმღერას. უახლოეს შემოქმედებთის ჩანაფიქრებში, რომლებიც დაკავშირებულია დიდი თეატრის გეგმებთან, არის სიმღერა ოპერებში „ჯამბაზები“, „სოფლის პატიოსნება“, „ლონგრინი“...

განსაკუთრებულ სიამოვნებას მანიჭებს კონსერვატორიაში ახალგაზრდა მომღერლებთან მუშაობა. ადამიანში ვიფასებ არა მარტო ზმას, არამედ ამასთანავე პატიოსნებას, წესიერებას, სიკეთეს. მე მინდა ჩემს მოწაფეებს ეს სულიერი თვისებები ჰქონდეთ. ჩემი კოლეგებიდან ბევრი ვერ დაიკვეხნის, ცხრა-ათი წლიდან ვიგრძენი, რომ მომღერალი ვიყავიო. ამისთვის პირველი და ყველაზე აუცილებელი პირობაა ხმა. ეს ხმა კი დაახლოებით ოცი წლისას უჩნდება. ღრმად მწამს: ვოკალისტში ადამიანი, პიროვნება უფრო ადრე ყალიბდება, ვიდრე პროფესიონალი. ჩემი მასწავლებელი პროფესორი დ. ანდღულაძე მეტყოდა ხოლმე: მთავარია ადამიანი იყო, მომღერალად დადგმა კი უკვე მეორეული ამოცანაა. ამასვე ვუმბერობ ჩემს სტუდენტებს. მოსკოვის კონსერვატორიაში.

მ. ᲐᲜᲝᲮᲘᲜᲐ.

„ᲞᲠᲐᲕᲓᲐ“. 1988 Წ. 3-V.

ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲜᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ შეაჯამა იმ კონკურსის შედეგები, რომელმაც გამოავლინა მშობლიურ ენაზე შექმნილი საუკეთესო სახელმძღვანელოები და დამხმარე სახელმძღვანელოები, სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომები, რუსულიდან თარგმნილი სახელმძღვანელოები.

კოლეგიის გადაწყვეტილებით პირველი პრემია დაიმსახურეს ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორმა **ლევან ხოლქვაძემ** და ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტმა **ირაკლი ანდრიაძემ**, რომლებმაც შექმნეს სახელმძღვანელო „საშენი მასალები“, I და II ნაწილები. ასეთივე მაღალი შეფასება მიეცა აფხაზურ ენაზე შექმნილი სახელმძღვანელოს „აფხაზური ხალხური შემოქმედება“. მისი ავტორია აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი **სერგო ზუხბა**. „მცირე ბარონული სისტემების გამოკვლევა კვარკულ მოდელში“ — ასე ეწოდება ნაშრომთა ციკლს, რომელსაც პირველი პრემია ხვდა და რომლის ავტორები არიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი **თამარ ბაბუციძე**, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **თეიმურაზ კოპალეიშვილი**, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი **ირაკლი მაჩაბელი**, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი **მიხეილ ჩაჩხუნაშვილი**. კოლეგიამ ასევე საუკეთესოდ ცნო ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის **ლევან მენაბდის** ნაშრომი „ძველი ქართული მწერლობის კერები“ (II ნაწილი).

მეორე პრემია მიენიჭათ ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორს **ელიზბარ ცისკარიშვილს**, რომელმაც შექმნა სახელმძღვანელო „ქანების დანგრევა აფეთქებით“. ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორს **ნოდარ ჭუთათელაძეს** სახელმძღვანელოსათვის „ბიერავლიკის საფუძვლები“. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროს მეცნიერ თანამშრომლებს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს **ნოდარ კიკალეიძეს** და ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატს **გივი კიკალეიძეს**, რომლებიც ავტორები არიან სამეცნიერო ნაშრომისა „ოპტიკური და ელექტრული მოვლენები დაუსხივებელ და ბირთვული ნაწილაკებით დასხივებულ ნახევარგამტარულ კრისტალებში“ (ნაშრომთა ციკლი). ნაშრომის „თერაპიული ცნობარის“ ავტორებს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორს **გრიგოლ ხახუაძეს**, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორს **ვახტანგ ალადაშვილს**, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის პროფესორს **ვალერიან ბოჭორიშვილს**, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის პროფესორს **ვაჟა ივერიელს**, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორს **გურამ რცხილაძეს**, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორს **დავით ხაყვარელიძეს**, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატს, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დოცენტს **მზია კანდელაკს**.

მესამე პრემია კონკურსზე წარმოდგენილ ნაშრომთაგან შერჩეულ შვიდ სახელმძღვანელოსა და სამეცნიერო გამოკვლევას მიეკუთვნა.

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲗᲐᲠᲝ

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ „მერანმა“ გამოსცა გრიგოლ აბაშიძის ლექსების კრებული „ორი სახლი“. ეს მომცრო ფორმატის წიგნი, რომელიც თაიგულივით შეუკრავს ბოლო წლებში შექმნილ პოეტურ ნაწარმოებებს, გვაცნობს სიცოცხლისა და ბრძოლის წყურვილით გამსჭვალული შემოქმედის განწყობილებებს, თანამედროვე ქართული მხატვრული სიტყვის გამოჩენილი ოსტატის ცხოვრების მეშვიდე ათწლეულით შთაგონებული ფიქრებს.

წიგნი, რომლის რედაქტორია ტ. მებურიშვილი, ხოლო მხატვარი თ. მირზაშვილი, მშვენიერი საჩუქარია ჭეშმარიტი პოეზიის მოყვარულთათვის.

ᲞᲐᲠᲐᲪᲘᲠᲘ მუსიკაში განსაკუთრებით რთული ჟანრია კონტრასტებზე სოლო შემსრულებლობა, რის გამოც ვიოლინისა და ჩელოსთან შედარებით გაცილებით ნაკლებია მისი პოპულარობა. მიუხედავად ამისა, გამოჩენილი კომპოზიტორ-ინსტრუმენტალისტების მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობა ფართო შესაძლებლობას უქმნის ნიჭიერ მუსიკოსებს აღნიშნულ ჟანრში ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის.

მათ რიცხვს განეკუთვნება საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტი, თბილისის კონსერვატორიის პედაგოგი, ამერკაკასიის მუსიკის-შემსრულებელთა კონკურსის ლაურეატი მერაბ ლორია. ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში გამართული სოლო კონცერტებით დაიწყო მისი შემოქმედებითი გზა, რომლის განუხრელი აღმავლობის მაჩვენებელია მრავალი საკონცერტო გამოსვლა და სტილისტიკურად განსხვავებული ნაწარმოებებისაგან შემდგარი დიდი რეპერტუარი. ჩელოს ხმოვანებასთან მიახლოებული, რბილ-ხავერდოვანი, პლასტიკური ბგერა, ფრაზირების სინატიფე და დახვეწილი მუსიკალური გემოვნება, ვირტუოზული ტექნიკა გამოარჩევს მ. ლორიას ამ ჟანრის სხვა წარმომადგენლებისაგან.

მ. ლორიას კარგი საშემსრულებლო ოსტატობის დასტური იყო ახლახან კონსერვატორიის მცირე დარბაზში გამართული კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდა საქართველოს ფილარმონიის სოლისტი, რესპუბლიკური ფესტივალის ლაურეატი ანტონ დვალაძე, აღსანიშნავია ინსტრუმენტული და ვოკალური მუსიკის ურთიერთმონაცვლეობაზე აგებული, ჟანრობრივად და სტილისტიკურად მრავალფეროვანი პროგრამა, რომელშიც მ. ლორიამ კვლავ საინტერესო სიახლენი შემოგვთავაზა; მართალია, კონტრაბასის დაბალ-რეგისტრულ და დახურული ტემბრის პიროობებში ძნელი წარმოსადგენია პაგანინის „კანტაბილეს“ ხაზი ეღერადობა, მაგრამ ჩაშწედომი ფრაზირების, ორნამენტაციული მელოდიური ხაზის ელასტიკურად წარმართვის უნარმა სოლისტის ხელში თითქოს „გოლიათი“ საკრავი ვიოლინოს გაუთანაბრა. უფრო ბუნებრივად აღიქვა მსმენელმა ბოკერიხის „როდო“, რომელშიც მუსიკოსმა ჩელოსებური ტემბრული პალიტრით წარმოაჩინა ლალი, დაუდეგარი და ლირიკულ-იხტიმური სახეების კონტრასტულობა.

საგანგებოდ უნდა გამოიყოს რიტმული ფიგურაციების მოხდენილობა, შინაგანი ეესპრესია და ერთდროულად იშვიათი სიმსუბუქე-ელეგანტურობა, რითაც აღიბეჭდა გრანადოსის „ესპანური ცეკვის“ და კუსევიცკის „ვალსის“ შესრულება, ხოლო ლირიკული უშუალობით, ემოციური გამომსახველობით, არტისტიზმით, და ვირტუოზულობით ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ბოტეზინის ურთულესი პიესების „მელოდიისა“ და „ტარანტელას“ შესრულებამ.

მ. ლორიას საშემსრულებლო ხელოვნების უდავო ღირსებებთან ერთად აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ტემბრულ-ინამიკური გრადაციების მრავალფეროვნების მიუხედავად, მის დაკვრაში სასურველია ბგერის მეტი სიფართოვე და სიძლიერე. ამას განსაკუთრებით საჭიროებდა კუსევიცკის კონცერტის შესრულება.

კონცერტს სიხალისე და ანტერესი შემატა მომღერალ ანტონ დვალაძის გამოსვლამ, რომელმაც მუსიკალობით, ოვკალური ტექნიკით და ტემპერამენტით მრავალრიცხოვანი აუდიტორიის სიმპათია მოიპოვა. მან შესატყვისი შტრიხებითა და კოლორიტით წარმოსახა სახასიათო, ჟანრული და კომიკური სახეები (კონჩაკის არია ბოროდინის ოპერიდან „თავადი იგორი“, ვარლაამის სიმღერა მუსორგსკის „ბორის გოდუნოვიდან“ და დონ ბაზილიოს არია როსინის „სევილიელი დალაქიდან“), სრულიად კონტრასტული და დამაჯერებელი იყო გასპარინის კლასიკური არიის (№ 2 კანტატა) და დრამატული პათოსით აღსავსე ფილიპის არიის (ვერდის „დონ კარლოსი“) შესრულება. საზეიმო ფინალის ხასიათში აეღერდა პრემიერა — მოცარტის საკონცერტო არია ბანისა და კონტრაბასისათვის.

სოლისტებთან შესანიშნავი ანსამბლი შექმნეს კონცერტმაისტერებმა ეთერ სხირტლაძემ და მარინე დარჯანიამ, რომელთა მაღალი პროფესიონალიზმი კონცერტის წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა გახდა.

Ა. ᲑᲔᲒᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, თბილისის კონსერვატორიის პროფესორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲔᲑᲨᲘ

ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲛᲔᲜᲢᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲕᲝᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ

ტრული და დახურული ტემბრის პიროობებში ძნელი წარმოსადგენია პაგანინის „კანტაბილეს“ ხაზი ეღერადობა, მაგრამ ჩაშწედომი ფრაზირების, ორნამენტაციული მელოდიური ხაზის ელასტიკურად წარმართვის უნარმა სოლისტის ხელში თითქოს „გოლიათი“ საკრავი ვიოლინოს გაუთანაბრა. უფრო ბუნებრივად აღიქვა მსმენელმა ბოკერიხის „როდო“, რომელშიც მუსიკოსმა ჩელოსებური ტემბრული პალიტრით წარმოაჩინა ლალი, დაუდეგარი და ლირიკულ-იხტიმური სახეების კონტრასტულობა.

საგანგებოდ უნდა გამოიყოს რიტმული ფიგურაციების მოხდენილობა, შინაგანი ეესპრესია და ერთდროულად იშვიათი სიმსუბუქე-ელეგანტურობა, რითაც აღიბეჭდა გრანადოსის „ესპანური ცეკვის“ და კუსევიცკის „ვალსის“ შესრულება, ხოლო ლირიკული უშუალობით, ემოციური გამომსახველობით, არტისტიზმით, და ვირტუოზულობით ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ბოტეზინის ურთულესი პიესების „მელოდიისა“ და „ტარანტელას“ შესრულებამ.

მ. ლორიას საშემსრულებლო ხელოვნების უდავო ღირსებებთან ერთად აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ტემბრულ-ინამიკური გრადაციების მრავალფეროვნების მიუხედავად, მის დაკვრაში სასურველია ბგერის მეტი სიფართოვე და სიძლიერე. ამას განსაკუთრებით საჭიროებდა კუსევიცკის კონცერტის შესრულება.

კონცერტს სიხალისე და ანტერესი შემატა მომღერალ ანტონ დვალაძის გამოსვლამ, რომელმაც მუსიკალობით, ვოკალური ტექნიკით და ტემპერამენტით მრავალრიცხოვანი აუდიტორიის სიმპათია მოიპოვა. მან შესატყვისი შტრიხებითა და კოლორიტით წარმოსახა სახასიათო, ჟანრული და კომიკური სახეები (კონჩაკის არია ბოროდინის ოპერიდან „თავადი იგორი“, ვარლაამის სიმღერა მუსორგსკის „ბორის გოდუნოვიდან“ და დონ ბაზილიოს არია როსინის „სევილიელი დალაქიდან“), სრულიად კონტრასტული და დამაჯერებელი იყო გასპარინის კლასიკური არიის (№ 2 კანტატა) და დრამატული პათოსით აღსავსე ფილიპის არიის (ვერდის „დონ კარლოსი“) შესრულება. საზეიმო ფინალის ხასიათში აეღერდა პრემიერა — მოცარტის საკონცერტო არია ბანისა და კონტრაბასისათვის.

სოლისტებთან შესანიშნავი ანსამბლი შექმნეს კონცერტმაისტერებმა ეთერ სხირტლაძემ და მარინე დარჯანიამ, რომელთა მაღალი პროფესიონალიზმი კონცერტის წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა გახდა.

Ა. ᲑᲔᲒᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, თბილისის კონსერვატორიის პროფესორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲔᲑᲨᲘ

ᲐᲠ ᲨᲔᲔᲠᲒᲝᲗ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ მაუდ-კამოლის კომბინატის თიანეთის სართავსაქსოვი წარმოების ფილიალში აღმოაჩინეს სოციალისტური საკუთრების დიდი ოდენობით დატაცება, რასაც ხელმძღვანელობდა წარმოების უფროსი ვ. ბაბუნაშვილი. სასამართლოს განაჩენის შემდეგ მას ბევრი დრო დარჩება იმისათვის, რომ ხელახლა შეაფასოს ხალხური სიბრძნე: „ნაქურდალი არ შეგერგებაო“...

წარმოება, რომელსაც ვ. ბაბუნაშვილი ხელმძღვანელობდა, შალნარევ ნართს უშვებს. მის კომპონენტებს, ანუ ძირითად ნედლეულს — მატყლს, კაპრონს, შტაპელს თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატიდან იღებდნენ. აქვე ამარებდნენ მზა პროდუქციას. ვ. ბაბუნაშვილმა, როცა დანაშაულის ჩადენა განიზრახა, საქმეში თანამონაწილეობა გამოიძახა. ისინი იყვნენ ამავე წარმოების უფროსი ბუღალტერი ს. აბალიშვილი, თიანეთის რაიონის დამზადების კანტორის „საქსოფდამზადების“ გაერთიანების მატყლის დამამზადებელი ზ. გედეშური, მძღოლ-ექსპედიტორი ვ. უშიკაშვილი.

დატაცების მექანიზმი მარტივი იყო: სახსენდარტის, ანუ დამზადებულ ნართში მატყლის შემცველობის ნორმის განზრახ დარღვევის გზით ვ. ბაბუნაშვილი მის „ეკონომიას“ უზრუნველყოფდა. ეს, ბუნებრივია, არსად არ აისახებოდა. პირიქით, მთელ მიღებულ მატყლს, როგორც საწარმოო პროცესის დროს გამოყენებულს, ჩამოწერდა უფროსი ბუღალტერი ს. აბალიშვილი. ფაქტობრივად მას საიდუმლოდ დამამზადებელ ზ. გედეშურს გადასცემდნენ, ისიც თავის მხრივ გამოწერდა ფიქციურ ქვითარს „მოსახლეობისაგან მატყლის შესყიდვის“ თაობაზე. ამგვარი ხერხით „დამზადებული“ მატყლის ფული ბანკიდან, დამზადების კანტორის ანგარიშიდან უნდა გამოეტანათ და თანამონაწილეთა შორის გაეყოთ. ამ ხერხით დამბაშავეებმა უმოკლეს დროში დაიტაცეს 49099 მანეთის 3226 კილოგრამი მატყლი.

რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სისლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ვ. ბაბუნაშვილს მიუსაჯა 13 წლის თავისუფლების აღკვეთა, მის თანამოსაქმეებს — ს. აბალიშვილს — 13, ზ. გედეშურს — 12 და ვ. უშიკაშვილს — 10 წლის თავისუფლების აღკვეთა და კუთვნილი ქონების კონფისკაცია. სასჯელის მოხდის შემდეგ მათ სხვადასხვა ვადით ეკრძალებათ მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობაზე მუშაობა.

თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატის ადმინისტრაციას და „საქსოფდამზადების“ გაერთიანების ხელმძღვანელობას გაეგზავნა კერძო განჩინება და წინადადება მიეცათ დაუყოვნებლივ აღკვეთონ ის მიზეზები და პირობები, რომლებიც ხელს უწყობდნენ აღნიშნული დანაშაულის ჩადენას.

(საქინფორმი)

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲨᲘ

ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲐ: ᲕᲘᲜ ᲐᲒᲔᲑᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ?

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ

Ზ. ᲧᲘᲜᲬᲙᲐᲚᲐᲫᲔ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ გამოგზავნილ პასუხში ნათქვამია: თქვენი გაზეთის 19 მარტის ნომერში დაბეჭდილ წერილზე გაცნობ ებ ათ, რომ განყოფილების ხელმძღვანელობამ ა. კუკალიას მიერ დანაშაულის ჩადენისთანავე მოაწყო სამსახურებრივი მოკვლევა. უბანს, სადაც იგი ცხოვრობს (კომუნისტური შრომის ქუჩა, № 82) ემსახურება უბნის ინსპექტორი, მილიციის ლეიტენანტი მ. ქვრივიშვილი. გამოირკვა, რომ ა. კუკალია 1982 წლის ივნისიდან 1983 წლის იანვრამდე მუშაობდა ქალაქის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში სანიტრად. იანვარში თავისივე განცხადების საფუძველზე სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით მან თავი დაანება სამსახურს. უბნის ინსპექტორს იგი აყვანილი ჰყავდა აღრიცხვაზე როგორც დროებით უმუშევარი. სწორედ ამ პერიოდში, 5 მარტს, მან ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული.

ლენინის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებამ ა. კუკალიას მიერ ჩადენილი დანაშაულის ფაქტი განიხილა პირადი შემადგენლობის ოპერატიულ თათბირზე და მკაცრად გააფრთხილა უბნის ინსპექტორი მ. ქვრივიშვილი. ამასთან მკაცრად გააფრთხილეს ყველა უბნის ინსპექტორები, რათა გაეძლიერნ მუშაობა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ჩაუბმელ პირთა გამოვლენისათვის და მათ მიმართ განახორციელონ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებანი.

Ბ. ᲗᲐᲗᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲔᲑᲐ

ჩვენს ჟურნალისტურ ოჯახს ფუტკარივით კაცი გამოაკლდა. აი, ვისზე იყო, მართლაც, ზედმოჭრილი სიტყვა — მოკრძალებული.

ბენო თათარიშვილი გარდაიცვალა, ალალ-მართალი, ჩუმი კაცი. პროფესიონალი — ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით, დარბაისელი და კაცთმოყვ